ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2019 წელი, 11 თებერვალი, №1 (6486)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან

ფასი 40 თეთრი

ყვარლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო

გასულ წელს დაიწყო და წარმატებით დამთავრდა ყვარლის №3 ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები. კერძოდ, განახლდა შენობის გარე ფასადი, ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გალამაზდა ოთახები, დამონტაჟდა გათბობის სისტემა, კეთილმოწყო ეზო და მიმდებარე ტერიტორია.

განახლებული შენობა საზეიმოდ გახსნეს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ სესიაშვილმა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ბენო გეგეჭკორმა.

მისასალმებელია, რომ მიმდინარე წელს ყვარლის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია მოხდება და ბავშვებს ცივილურ გარემოში მოუწევთ ყოფნა.

ალეკო ქაფიანიძე

ეგრაული კომპანია „ADAMA“-ს პროდუქცია ქართულ ბაზარზე

31 იანვარს აგროვიტას შილდის ფილიალში გაიმართა კომპანია ADAMA-ს სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ, ყვარლის მუნიციპალიტეტის მევენახე ფერმერები. სემინარი გახსნა შპს „აგროვიტას“ დირექტორმა ოთარ ანდრიაშვილმა.

სემინარზე კომპანიის წარმომადგენელმა, ტექნიკური მხარდაჭერის მენეჯერმა ვადიმ სიმაკამ ისაუბრა ძირითადად ვაზის დაცვის ახალ სქემაზე და წარმოადგინა კომპანია ADAMA-ს პროდუქცია. თუ რამდენად ეფექტურია ADAMA-ს ფუნგიციდები მაგ. ფოლპანი, სფინქს ექსტრა, ბენელუსი და ა.შ. ჭრაქის, ნაცრის, სიდამპლეების და სხვა მთელ რიგ დაავადებებთან საბრძოლველად, როგორც ვენახის ასევე ხეხილის ბაღების დასაცავად.. საკმაოდ ვრცლად განიხილეს კომპანია ADAMA-ს ინსექტიციდები, მაგ. აპოლო, პირინექს სუპერი, ცეზარი, ლამბდექსი და სხვა. ისაუბრეს პრეპარატების უნიკალურ ფორმულაციებზე, რომლებიც ვენახის და ხეხილის დაცვის საშუალებას იძლევა ყველანაირი მავნებლისგან, ისე რომ სრულიად უსაფრთხოა სასარგებლო მწერებისთვის. სემინარის ბოლოს განიხილეს კომპანია ADAMA-ს ჰერბიციდები მაგ. გლიფოგანი, ჰალიგანი, მისტრალი და ა.შ. ისაუბრეს ვენახის სარეველებისგან დაცვის აუცილებლობასა და ეფექტურობაზე. კომპანია ADAMA-ს წარმომადგენლებმა აგროვიტას თანამშრომლებს და ადგილობრივ ფერმერებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება და თანამედროვე მიდგომები მცენარეთა დაცვის კუთხით, რამაც სემინარი კიდევ უფრო საინტერესო და ეფექტური გახადა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია ADAMA-ს ხარისხი საკმაოდ მაღალია და გათანაბრებულია ევროპულ პესტიციდების მწარმოებლების ხარისხთან, რასაც ფასზე ვერ ვიტყვით, ADAMA-ს პრეპარატების ფასები კონკურენტებთან შედარებით საკმაოდ დაბალია...

ალექსანდრე გიგილოშვილი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით უამრავი პრობლემა მოგვარდება

საქართველოს მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა კვლავ აამოქმედა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მტკივნეული პრობლემები დროულად მოგვარდება. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიზნად ისახავს მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ამ მიზნით ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩატარდა კრებები, სადაც მოსახლეობასთან კონსულტაციებით მიღებული იქნა გადაწყვეტილებები და გამოიკვეთა მთავარი პრობლემები, რომელთა მოგვარება მნიშვნელოვანია თითოეული სოფლისათვის, კერძოდ:

1. საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია;
2. გზებზე ინფრასტუქტურის მოწესრიგება;
3. ამბულატორიების რეაბილიტაცია;
4. სასმელი წყლის სისტემის განახლება;
5. სანიაღვრე არხების მოწყობა;
6. სკვერების და სპორტული მოედნების კეთილმოწყობა;
7. გარე განათების მოწყობა;
8. ხიდების რეაბილიტაცია.

პრემიერის მილოცვა ომის ვეტერანს

დიდმა სამამულო ომმა მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ბევრიც ინვალიდი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. გადარჩენილები კი მიუხედავად ხანდაზმულობისა, ჩვეული რიტმით დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას. სამწუხაროდ ასეთები თითზე ჩამოსათვლელებიღა დარჩნენ.

როგორც საქართველოს მთავრობის, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სადღესასწაულო თუ საიუბილეო დღეებში, ყოველთვის ეხმაურებიან მათ. იხსენებენ მათ ღვაწლს სამშობლოს წინაშე და ეკონომიურ და მატერიალურ დახმარებასაც უწევენ.

„გილოცავთ ახალ წელს, მშვიდობა, ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს“, — აი ასეთი შინაარსის მილოცვა მიიღო ამ დღეებში ომის ვეტერანმა, ბატონმა დავით მეტრეველმა საქართველოს პრემიერ- მინისტრის ბატონ მამუკა ბახტაძისაგან. ბატონი დავითი ჩვენი გაზეთის საშუალებით დიდ მადლობას უხდის პრემიერს მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

* * *

გაზეთ „ყვარლის“ რედაქციის კოლექტივი ვუერთდებით ამ მილოცვას და ჩვენს გმირ ვეტერანს, ბატონ დავით მეტრეველს ვულოცავთ დაბადების 102-ე წლისთავს, ახალ 2019 წელს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს.

დალი ტატულიშვილი

საშიში ეპიდემიები – როგორ დავიცვათ თავი ინფექციებისგან

ბოლო დროს, გრიპის ვირუსების და წითელას ეპიდემიის გავრცელების შემდეგ სხვა ინფექციების, მათ შორის დიფტერიის შესახებაც ალაპარაკდა მოსახლეობა. თუმცა, მალევე დადასტურდა, რომ დიფტერიის გავრცელების საფრთხე ამ დროისთვის არ არსებობს. ზოგადად შექმნილი მდგომარეობა, გარკვეულ შიშსა და ვნებათა ღელვას იწვევს ქვეყანაში და ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ სიმართლესთან ერთად მრავალი ჭორი ვრცელდება.

და მაინც, რა არის მთავარი ეპიდემიების გავრცელების თავიდან ასარიდებლად?

უდავოა, რომ ეს არის, ისევ და ისევ იმუნიზაცია, რომლის აუცილებლობაც არაერთხელ დადასტურდა.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მტკიცებით, აცრა ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის, დამბლის, სიბრმავის, გონებრივი ჩამორჩენილობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვა გართულებებისგან.

ამბობენ, რომ კაცობრიობა მედიცინის სხვა არცერთ მეცნიერებასთან არ არის ისეთ ვალში, როგორც იმუნიზაციასთან...

ამის მიუხედავად, მშობელთა გარკვეულ ნაწილს გათვითცნობიერებული არა აქვს, თუ რა პრობლემების გამოწვევა შეუძლია აცრაზე უარის თქმას. მართალია, საქართველოში გეგმიური აცრები ტარდება, მაგრამ ამ კამპანიას, გარკვეულ რეგიონებში სასურველი მაჩვენებელი არ აქვს. ამის გამო, ბოლომდე ვერ ხერხედება საშიში დაავადებების საბოლოო დამარცხება და პერიოდულად ეპიდემიები მაინც გვიტევენ.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

საშიში ეპიდემიები – როგორ დავიცვათ თავი ინფექციებისგან

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ამ თემასთან დაკავშირებით გვესაუბრა ექიმი-პედიატრი ნონა ბაიდოშვილი.

– ქალბატონო ნონა, ვაქცინაციის შესახებ აგორებულმა მითებმა თუ დეზინფორმაციამ წალეკა ქვეყანა. რატომ ვრცელდება ნეგატიური აზრი ამასთან დაკავშირებით და თქვენ რას გვეტყვით ვაქცინაციის შესახებ?

– დაავადებების პრევენციისთვის აუცილებელია, პირველ ყოვლისა დროულად ავიცრათ ეროვნული კალენდრის მიხედვით. პირველ რიგში, მშობლებმა დროულად უნდა დაუწყონ აცრა საკუთარ შვილებს, რომლებსაც 1 წლამდე ასაკში უტარდებათ სამჯერადდ. შემდეგ ხდება წლინახევრის, 5 წლის და 14 წლის ასაკში რევაქცინაცია.

ვაქცინაციის შესახებ დეზინფორმაციას ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანები ავრცელებენ. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, საკმაოდ ნეგატიური როლი ითამასა ტელეკომპანია „რუსთავი-2“ – მა წითელას საწინააღმდეგო ვაქცინაციის პერიოდში, რამაც თითქმის ჩაშალა ეს პროცესი თბილისში და რის შედეგებსაც დღემდე ვიმკით. ერთი რამ აუცილებლად უნდა გვახსოვდეს: ვაქცინა არ კლავს, ხოლო ის დაავადებები, რის საწინააღმდეგოდაც კეთდება აცრა სიცოცხლისათვის საშიშია.

ვაქცინაციის დროს, ძირითად სერიოზულ გართულებად განიხილება მწვავე ალერგიული რეაქცია, რომლიც ძალიან იშვიათია და ალბათობა არის მილიონიდან ერთი (1 : 1 000 000) და ესეც, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ის სასიკვდილოა. მაგალითად 2003 წელს ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 7, 644, 049 დოზა ვაქცინაზე დაფიქსირდა მხოლოდ 5 მწვავე ალერგიული რეაქცია და აქედან არც ერთი არ იყო სასიკვდილო.

როგორც აბსოლუტურად ყველა პრეპარატმა, ისე ვაქცინამაც შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაზიანებები და სიკვდილი, თუმცა ეს შემთხვევები იმდენად მცირეა ჩატარებული ვაქცინაციების რაოდენობასთან შედარებით, რაც ყოველწლიურად მოიცავს ასეულობით მილიონი ბავშვის ვაქცინაციას, რომ სტატისტიკური ანალიზი და ზუსტი რისკების გათვლაც შეუძლებელია, სერიოზული გართულებების რისკი ვაქცინაციის დროს არის ექსტრემალურად დაბალი.

– თუ არსებობს ისეთი სტატისტიკა, თუნდაც სხვა ქვეყნის მაგალითზე, რა მოიტანა მასობრივმა აუცრელობამ?

– რასაკვირველია, იმ ქვეყნებში, სადაც არ ტარდება ვაქცინაცია, ხშირია სხვადასხვა დააავადებათა ეპიდემიები. საქართველოშიც 90-იანი წლების პერიოდში, ვაქცინებით ცუდად მომარაგების და აცრების საწინააღმდეგო კამპანიის შედეგი იყო დიფტერიის და სხვა ინფექციური დაავადებების გახშირება.

სტატისტიკა ასეთია: 2018 წლის პირველ ნახევარში ევროპაში იყო წითელას აფეთქება, როდესაც 41 000 ბავშვი დასნებოვდა და აქედან 37 დაიღუპა, ერთ-ერთი მიზეზი იყო ანტივაქსერების აქტიურობა. საქართველოში დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, 1990 წლის შემდეგ, წითელას ეპიდემია დაფიქსირდა 2004-2005 წლებში, ამ პერიოდში იყო 8 391 შემთხვევა, აქედან გარდაცვალების 9 შემთხვევა. წითელას შემდეგი დიდი აფეთქება იყო 2013-2015 წლებში, როცა დაავადდა 11 000-ზე მეტი ადამიანი, აქედან 4 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა. ეს ეპიდაფეთქებები, სწორედაც რომ უკავშირდება 1990-იან წლების დასაწყისში იმუნიზაციის პროგრამის და 2008 წელს წითელას საწინააღმდეგო აცრების კამპანიის ჩავარდნას.

– ხშირად ხდება განსჯის საგანი ვაქცინების ხარისხიც, საიდან და რატომ ჩნდება ეჭვი ამის შესახებ?

– საქართველოში, სახელმწიფო დონეზეა დაყენებული ვაქცინაციის საკითხი. ვაქცინების შემოტანა ხდება ცივი ჯაჭვის ხაზით და განსააკუთრებით კონტროლდება. რაც შეეხება მითს იმის შესახებ, რომ ვაქცინები არის უხარისხო, ეს არასწორია. ჩვენთან შემოტანილი ვაქცინები უმაღლესი ხარისხისაა და შემოდის ევროპული ქვეყნებიდან.(ბელგია, ინგლისი და ა. შ.)ეს გახლავთ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული, ანუ მაღალი ხარისხის და უსაფრთხო.

– რას გვეტყვით დიფტერიის შესახებ, დღევანდელი მდგომარეობით არსებობს თუ არა მისი გავრცელების საფრთხე, რა სიმპტომები ახასიათებს?

– დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში დიფტერიის გავრცელების საფრთხე არ არსებობს, რაც სწორედ მასობრივი იმუნიზაციის დამსახურებაა. დიფტერიისათვის დამახასიათებელია ხორხის შეშუპება, რის გამოც ადამიანს უძნელდება სუნთქვა, რაც იწვევს სიკვდილს. ე. ი. დიფტერია სიცოცხლისათვის საშიში დაავადებაა. მართალია არსებობს მკურნალობის სპეციფიური საშუალებები, მაგრამ ბევრად მარტივია პროფილაქტიკური ღონისძიებები, რაც გულისხმობს დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

ეჭვს დიდიხანია აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ვაქცინაციის მეშვეობით მსოფლიომ დაამარცხა ისეთი დაავადება, როგორიც არის ყვავილი, რომელმაც შეიწირა ასობით მილიონობით სიცოცხლე და დღეს ეს დაავადება საერთოდ აღარ არსებობს. ასევე მაგალითად, პოლიომიელიტი – რომლის ვაქცინამაც გადაარჩინა დაახლოებით 16 მილიონი ადამიანი პარალიზს და სიკვდილს, 1988 წლიდან დღემდე შემთხვევები 99%-თ შემცირდა და მის სრულ ერადიკაციასაც იმედიანი თვალით უყურებს მსოფლიო და დიდი ალბათობით მალე მოხდება, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ვაქცინის დამსახურებით.

შეგვიძლია ასევე გავიხსენოთ წითელა. ვაქცინის შექმნამდე წითელას ეპიდემიები მეორდებოდა 2 – 3 წელიწადში ერთხელ და ყოველწლიურად იღუპებოდა დაახლოებით ორ მილიონ ნახევარზე მეტი ადამიანი, ვაქცინის შექმნის შემდეგ ეს რიცხვები მკვეთრად შემცირდა, თუმცა წითელა კვლავ რჩება მსოფლიო პრობლემად. მაგალითად, 2017 წელს მსოფლიოს მასშტაბით ასი ათასი ბავშვი დაიღუპა და მათი უმეტესობა იყო 5 წელზე მცირე ასაკის.

შეგვიძლია გავიხსენოთ დიფტერიაც, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი მიზეზი იყო ბავშვთა სიკვდილიანობის, ვაქცინის შექმნამდე, ხოლო შემდეგ იკლო შემთხვევებმა. მაგალითად 1980 წელს იყო დაახლოებით ასი ათასი შემთხვევა, ხოლო 2014 წელს – მხოლოდ ხუთი ათასი, და ეს დადებითი ტენდენცია გრძელდება ვაქცინების დამსახურებით.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, შედეგებით და დღევანდელი სამეცნიერო მტკიცებულებებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაქცინა ზოგადად არის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო პრეპარატი, რაც შეუქმნია კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე.

ია გიგიაშვილი

როდიდან გახდება სავალდებულო ბავშვებისთვის გეგმური აცრების ჩატარება

5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარება სავალდებულო არა 2019 წლის იანვრიდან, არამედ 1-ელი ივნისიდან გახდება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ განუცხადა. მისივე თქმით, ზაფხულამდე პერიოდი საჭიროა იმისთვის, რომ გარკვეული კანონქვემდებარე აქტები მოვიდეს შესაბამისობაში.

ზოიძის ინფორმაციით, 1-ელი ივნისიდან ასევე სავალდებულო გახდება საბავშვო ბაღებში აცრების სტატუსის შესახებ ინფორმაციის წარდგენა.

„კანონში ცვლილება უკვე შესულია. სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების კალენდარში არსებული 10 აცრა მანამდე სარეკომენდაციო სახის იყო, ახლა წერია, რომ სავალდებულოა, უბრალოდ, ტექნიკურად ეს ცვლილება ძალაში შევა 1-ელი ივნისიდან, რადგან გარკვეული კანონქვემდებარე აქტები უნდა მოვიდეს შესაბამისობაში. ცვლილების ძირითადი არსი ის არის, რომ აცრებთან დაკავშირებით ყოველგვარი ორაზროვნება აღმოიფხვრას, რადგან აცრები არის სავალდებულო, სასარგებლო და ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი, რათა ჩვენი ბავშვები ისეთი საშიში დაავადებებისგან დავიცვათ, როგორიც არის: წითელა, წითურა, პოლიომიელიტი და ა.შ“, – აღნიშნა მან.

აკაკი ზოიძის ინფორმაციით, აღსრულების მექანიზმი კანონმდებლობაში ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის.

„აღსრულების მექანიზმი ჯარიმა ან რაიმე კანონში ჯერჯერობით ჩადებული არ არის, თუ საჭირო გახდა, ბაღში ბავშვის დაშვება-არდაშვების საკითხი შეიძლება დადგეს, მაგრამ ეს ჯერჯერობით გეგმაში არ არის. სხვა ქვეყნებში ასეთი რამ არსებობს, მაგრამ ამას ჯერ არ ვაკეთებთ“, – აღნიშნა აკაკი ზოიძემ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის თანახმად, 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შემდეგი აცრების ჩატარებაა სავალდებულო: ჰეპატიტი; BCG (bcJ); დიფტერია/ტეტანუსი/ყივანახველა/hep/hib/ipv; პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა; როტავირუსული ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინა; წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგო აცრა და პოლიომიელიტის ორალური ვაქცინა.

ინტერპრესნიუსი

მიღოცვა

მაია ოთიაშვილს

ჩემო ლამაზო, ყურადღებიანო შვილო, კარგო დედავ და ბებია, გილოცავ დაბადებიდან 50-ე დაბადების დღეს.

გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ფერადებში დაბერებას.

მზია კუპრაშვილი-ოთიაშვილი

ჩვენც დავბერდებით

როგორც ყოველ ახალ წელს, ამჯერადაც ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა მაია ზარდიაშვილმა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის სოციალურ ცენტრს, გაუწია ქველმოქმედება 150 ლარით. მან სოციალური ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ცენტრის ბენეფიციარებს მიულოცა დამდეგი 2019 წლის შობა-ახალი წელი. ყვარლის სოციალური ცენტრის თანამშრომლები, მოხალისეები და ბენეფიციარები დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ მაიას წითელ ჯვართან თანამშრომლობისათვის. ღმერთმა დაგლოცოთ ქალბატონო მაია და ღმერთმა ამრავლოს თქვენისთანა ქველმოქმედი ადამიანები, იმისათვის, რომ თუნდაც წელიწადში ერთხელ გავუხალისოთ ცხოვრება ჩვენს ბენეფიციარებს, ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ.(თუმცა ქალბატონი მაია და მისი ოჯახის წევრები წელიწადში ერთხელ კი არა ხშირად უწევენ ქველმოქმედებას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის ფილიალის ბენეფიციარებს) მადლობა მათ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ყვარლის სოციალური ცენტრის მენეჯერი
ია გეჟანიშვილი

განცხადება

ქ. ყვარელში ფუნქციონირება განაახლა ტრანსპორტის მართვისათვის საჭირო ჯანმრთელობის შემოწმების (ე.წ. ფსიქოს) კომისიამ.
მისამართი ქ. ყვარელი, აღმაშენებლის ქ. №26,
(ყოფილი პოლიკლინიკის შენობაში).
სამუშაო საათები 10 საათიდან 15 საათამდე.
T. 579 74 04 99

„ისეთი მასალები გამოვლინდა, თმები ყალყზე დაგიდგებათ!“ – უცნობი ინფორმაცია პატარა კახზე...

„ვიცი, შეიძლება ბევრისთვის ეს დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ლონდონის ამ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ვულვიჩის სამხედრო აკადემიაში ყმანვილკაცობაში სწავლობდა ჩვენი პატარა კახი, იგივე დიდი ერეკლე მეორე. ამაზე ერთხმად მიუთითებს რამდენიმე ევროპული წყარო, რომელიც საქართველოში მანამდე უცნობი იყო და რომლებიც ჩვენ ირლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოვიტანეთ“, – აცხადებს ისტორიკოსი გიორგი კალანდია და ერეკლე მეორესთან დაკავშირებულ უცნობ ინფორმაციებს ასაჯაროვებს.

– ისეთი მასალები გამოვლინდა ირლანდიასა და იტალიაში, რომ თმები ყალყზე დაგიდგებათ! სამი ელჩი მოუკლა ერეკლე მეფეს რუსეთის ჯაშუშობამ. სამივე ევროპაში გააგზავნა მაშინ პატარა კახმა. 1781 წლიდან უიმედოდ ელოდა 2 წელი ევროპელების დახმარებას, მოკლედ რუსეთის ჯაშუშობა მაშინაც აქტიურად მუშაობდა! ბოლოს კი როგორც ავსტრიის ელჩი წერს. ობერ ლეიტენანტმა ტამარამ ძლივს დაიყოლია ტრაქტატზე ხელის მოსაწერად! მოკლედ ეგრე ადვილად არაა საქმე! ძალიან მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს ეგ სულმნათი! სამი იმპერია რუსეთი, ირანი და ოსმალეთი ერთად ებრძოდა პატარა კახს! – განმარტავს ისტორიკოსი:

გიორგი კალანდია:

– გადავწყვიტე, როგორც ისტორიკოსმა, ყველა საშუალება გამოვიყენო იმისათვის, რომ ერეკლე მეორის ღვაწლი უფრო კარგად წარმოვაჩინო.

ამაში განსაკუთრებით დამეხმარა ირლანდიიდან ჩამოტანილი დღემდე უცნობი ინგლისური, ირლანდიური ცნობები და გერმანული წყაროები. ეს უკანასკნელი მამაჩემმა პროფესორმა ბორის კალანდიამ თარგმნა.

მათი შესწავლის შემდეგ ირკვევა, რომ ერეკლეს ევროპული ბიოგრაფიის ნაწილი თანხვედრაში მოდის ქართველი მონარქის რეფორმატორულ ხასიათთან. უკვე ლოგიკურად ახსნადია პატარა კახის დაუოკებელი სწრაფვა დაემყარებინა სამხედრო თუ პოლიტიკური კავშირი ინგლისის, ვენეციის და ავსტრიის მონარქებთან.

როგორც ჩანს, მან პირადად კარგად უწყოდა განათლებული ევროპის სარგებელი. ეს მოვლენა ამასთანავე პატარა კახს საქართველოს ისტორიის პეტრე დიდად წარმოაჩენს, რომელმაც პეტრეს მსგავსად საიდუმლოდ იმოგზაურა ცივილიზირებულ დასავლეთში და საკუთარ ქვეყანას ახალი ღირებულებები, განმანათლებელთა იდეები და სამხედრო წარმატებისათვის საჭირო ცოდნა შესძინა.

ამ მოსაზრების საუკეთესო დასტურია 1793 წელს ლაიფციგში ელია რაბეცკის დაბეჭდილი სიტყვები: „ის თავის სამეფოში უცხოეთიდან იწვევდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, მის დროს მეცნიერებამ და ხელოვნებამ აყვავება დაიწყო, სწავლულები მაღალი ანაზღაურებით და დაფასებით გამოირჩეოდნენ, ამიტომ ისინიც დიდი ზედმიწევნით ავრცელებდნენ თავიანთ ცოდნას, რაც მთავარია ამ იდეების პრაქტიკაში განხორციელება ხდებოდა.... ერეკლე ნიჭიერ ახალგაზრდებს არჩევდა და საკუთარი სახსრებით მათ ნაწილს ევროპის სამეფოების კარზე, ნაწილს კი სხვადასხვა აკადემიებში განათლების მისაღებად აგზავნიდა. იმისათვის რომ ადამიანთა წარჩინება მხოლოდ წარმომავლობით არ დაფასებულიყო, მან სამი წოდება შემოიღო: ერთი დაბადების, მეორე დამსახურების, მესამე კი სიმამაცისა და სამხედრო ხელოვნების. იმისათვის, რომ თავისი ქვეყნიდან ცრუ ღვთისმოსაობა და მიუტევებლობა განედევნა, ყველა რელიგიისადმი განსაკუთრებულ შემწყნარებლობას ავლენდა, მას სურდა საკუთარი ქვეშემრდომები უმტკივნეულოდ გაეწმინდა ყოველივე უარყოფითისაგან. მოახერხა კიდეც, სამეფო კარსა და საკუთარ თავს შეუფერებელი ისე ჩამოაშორა, რომ არცერთი მათგანის ბრწყინვალება არ შეულახავს“.

კ ა ლ ა მ ო ე დ ა ნ ი

გრემის „თემში“ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება დაიწყეს

ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გრემში, სოციალური მეწარმეობისა და ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, ბიო – ღვინისა და წვენების წარმოება დაიწყეს.

პროექტს სოციალური საწარმო „თემი“ ახორციელებს, რომელიც რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: მეღვინეობა, მემინდვრეობა, ველოტურიზმი, ხილის წვენის საწარმო, ბოსტანი, საქათმე ,საფუტკრე, სადურგლო – ესტონეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და ესტონელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარებით.

სოციალურმა საწარმომ შეიძინა სპეციალური დანადგარი და დაიწყო ორგანული წვენების წარმოება, შეიქმნა დამატებით 9 სამუშაო ადგილი, რამაც ხელი შეუწყო თემის ბენეფიციარების ფინანსურ დამოუკიდებლობასა და აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღნიშნულ სიახლესთან დაკავშირებით გავესაუბრეთ თემის დირექტორს ნიკოლოზ კვაშალს და მენეჯერს ზურაბ ლუარსაბიშვილს.

– როდიდან ამუშავდა მარანი?

– 2008 წლიდან ამუშავდა მარანი და დაიწყო ბიო – ღვინის წარმოება. 2016 წლის დეკემბერიდან კი დაიწყო ორგანული წვენების წარმოება.

– დღემდე რა რაოდენობის პროდუქცია აწარმოეთ?

– 30 000 ბოთლი ბიო ღვინო, საფერავი და რქაწითელი და .1500 ბოთლი წვენი – ვაშლის ,ბრონეულისა და ყურძნის.

– რა მიმართულებით მუშაობთ და რამდენი მუშახელია დასაქმებული?

– სულ 30 ბენეფიციარია დასაქმებული და დამატებით, ჩვენც, აქ მომუშავეები აქტიურად ვართ ჩართული ამ პროცესებში. ჩვენი მიმართულება არის სოციალური მეწარმეობა, რაც გულისხმობს: მევენახეობა-მეღვინეობა, მემინდვრეობა ,ველოტურიზმი ,ხილის წვენის საწარმო, ბოსტანი, საქათმე, საფუტკრე, სადურგლო.

– როგორია თქვენი პროდუქციის რეალიზაცია და რამდენად მოთხოვნადია იგი?

– ექსპორტირება ხდება: გერმანიაში, ნორვეგიაში და საფრანგეთში, ამჯერად მოლაპარაკებას ვაწამოებთ ავსტრიასთან. ადგილობრივადაც ხდება პროდუქციის რეალიზაცია: ბათუმში, თბილისში, სიღნაღში, თელავში, და ასევე გვაქვს კერძო მაღაზია სოფელ გრემში. დიდი კონკურენციის მიუხედავად საკმაოდ მოთხოვნადია ჩვენი პროდუქცია.

– რას გვეტყოდით თქვენი პროდუქციის ხარისხზე?

– 2012 წლიდან სერთიფიცირებულია ბიო – ღვინო, რაც შეეხება წვენების წარმოებას, ნატურალურია და არ შეიცავს ქიმიურ დანამატებს.

– რამდენად კმაყოფილია თქვენი წარმოებული პროდუქციით მომხმარებელი?

– მომხმარებელი ნამდვილად კმაყოფილია ჩვენი პროდუქციით და ძალიან მოთხოვნადია იგი, რადგან ჩვენ ვაწარმოებთ 100 პროცენტით ნატურალურ, ბიო – პროდუქციას.

მარიამ დათუკიშვილი

ჩვენს თანამემამულეებს „პერსონა-2018“ ტიტული მიენიჭათ

გასული წლის დეკემბრის თვეში „პერსონა – 2018’ – ის ტიტული , მრავალ წარმატებულ პიროვნებასთან ერთად, დედაქალაქში მოღვაწე ორ ყვარლელსაც ხვდა წილად.

აღნიშნული პროექტი 5 წელს ითვლის და ამ ხნის მანძილზე მან ნდობასთან ერთად საზოგადოების აღიარებაც მოიპოვა. პროექტის მიზანი – იმ ადამიანების გამოვლენა და დაჯილდოებაა, რომლებსაც სხვადასხვა სფეროს განვითარებისათვის მიუძღვით წვლილი. ბორდი, რომელიც ყოველ წლიურად 50 წარმატებულ ადამიანს ირჩევს, ცერემონიის ორგანიზატორებისაგან დამოუკიდებლად მუშაობს და უკვე გამოვლენილი წარმატებული ადამიანების ტოპ ორმოცდაათეულს აწვდით მათ. პროექტის იდეის ავტორი და დირექტორი იოსებ კავკავაშვილი გახლავთ, ხოლო ორგანიზატორი – 2013 წლიდან ორგანიზაცია „ქართული განათლება“. მისი ოფიციალური პარტნიორები კი არიან ორგანიზაცია „ქართული გვარები“ და ჟურნალი „თქვები სახე“. პროექტის ფარგლებში დაჯილდოების ცერემონიას წარმატებული უცხოელი ადამიანებიც სტუმრობდნენ, მაგალითისათვის ალბათ საკმარისია ამერიკელი ჯაზისა და სოულის ცნობილი შემსრულებელი ჯული მასინო, რომელზეც, ტელეკომპანია „ბიბისი“-მ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ყოველწლიურად პერსონას ტიტული მედიკოსებს, განმანათლებლებს, კულტურის, სამოქალაქო, ბიზნეს და მედიის წარმომადგენლებს ენიჭებათ.

ჟურნალში „თქვენი სახე“ (13 დეკემბერი 2018წ. № 4) – ვკითხულობთ:

იოანე ქართველი – პერსონა 2018 – საუკეთესო კონფერანსიე, პოეტი, მწერალი, კომპოზიტორ-შემსრულებელი, ორგანიზაცია „ქართული გვარები“ – ს რეჟისორი და ამავე ორგანიზაციის მიერ დამზადებული დოკუმენტური ფილმების გამხმოვანებელი, იდეალური პიროვნება და საუკეთესო შემოქმედი.

ანა მოლაშვილი – კომპოზიტორი, პიანისტი, ვოკალისტი, წარმატებული ქართველი ქალი, ემიგრაციაში ქართული სულისა და ეროვნულობისათვის ჯილდოვდება პერსონა 2018 – ის ტიტულით.

ვულოცავთ ჩვენს თანამემამულეებს ამ ორიგინალურ ტიტულს და ვუსურვებთ მრავალ წარმატებას საზოგადოებრივ ასპარეზზე და პირად ცხოვრებაში!

სოფელმა ბალღოჯიანმა 100 წლის იუბილე აღნიშნა

ბალღოჯიანი... მისი სახელი სრულიად განსხვავებულად ჟღერს და განსხვავებული ისტორიაც გააჩნია.

სოფელი 1918 წელს დაარსდა. იმ ადგილას, სადაც სოფელი გაშენდა, მწარე ბლის ტყე იყო, რომელსაც ბალღოჯი ერქვა, სოფელს სახელიც მწარე ბლის გამო დაერქვა. სოფლის მოსახლეობა დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან ,კერძოდ, ჭიათურიდან, ზესტაფონიდან და საჩხერედან ჩამოსახლდნენ.

ბალღოჯიანელი 86 წლის ქალბატონი იხსენებს სოფელთან დაკავშირებულ იუმორს: – ამ ადგილას კარგი მიწები იყო და კარგი მოსავალი მოდიოდა. გოგრა იმხელა მოდიოდა, გული რომ ამოგეჭრა, შიგნით ღორი შეეტეოდაო“. და კიდევ ; „ბაბუაჩემს ხშირად ვეუბნებოდი ხოლმე, ამხელა ალაზანი გამოგივლიათ და რაღა აქ ჩამოსახლდითო. იმ დროს ბევრი გაჭირვება იყო, თუმცა დიდმა სიყვარულმა, მეგობრობამ და ერთმანეთის მიმართ გვერდში დგომამ გადაგვატანინაო“.

სოფელი ძალიან პატარაა, თუმცა ირგვლივ ლამაზი ბუნება აქვს. გასულ 2018 წლის 7 ოქტომბერს სოფელს ასი წლის იუბილე შეუსრულდა. ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის და სოფლის ადგილობრივი წარმომადგენლის მხარდაჭერით გაიმართა საიუბილეო ღონისძიება. ჩატარდა ფეხბურთი, ჭიდაობა, გაიმართა ღვინის დეგუსტაცია. ღონისძიება დაგვირგვინდა კონცერტით, სადაც მონვეულნი იყვნენ მომღერალი ნინი ბადურაშვილი და ადგილობრივი ანსამბლები.

ლიკა მიხელიძე

მალე სოფელს სკვერი დაამშვენებს

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანაანთსერში, 24 იანვარს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ სოფლის მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ წიწკანაანთსერში სკვერი გაკეთდება.

აღსანიშნავია, რომ წიწკანაანთსერში არსებობდა სკვერი. დღეის მდგომარეობით , იმ ადგილას შემორჩა წიწვოვანი ხეები და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი.

ჩემი აზრით, ეს სიახლე სოფლის ყველა ასაკის მაცხოვრებლისთვის სასიხარულოა, რადგან ეს იქნება როგორც ახალგაზრდობის თავშეყრისა და გართობის ადგილი, ასევე ხელსაყრელი გარემო – ნებისმიერი ადამიანის დასვენებისა და ამბების გაზიარებისთვის.

ანა ხაჩიშვილი

რა სამუშაოები უნდა ჩავატაროთ თებერვალში – ბაღსა და ბოსტანში

თებერვალი ზამთრის მესამე თვეა, თოვლით და სიცივით, თუმცა დღის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად იზრდება, მზე უფრო თბილი და ნათელი ხდება, შესაბამისად ბუნება და ჩვენი ბაღიც გასაღვიძებლად ემზადება.

მეურნე ადამიანი, საგაზაფხულო სამუშაოების შემსუბუქებისთვის სწორედ ამ თვეში იწყებს აქტიურ ზრუნვას.

თებერვლის თბილ დღეებში, ყურადღებით უნდა დავათვალიეროთ ხეხილის ხეები, უნდა მოვაშოროთ შემორჩენილი ფოთლები და ნაყოფი, რადგანაც ხშირად სწორედ მათში იზამთრებს ნაყოფის სიდამპლე, რამაც შეიძლება დაავადოს ნარგავები და შეამციროს მოსავლიანობა.

ასევე ყურადღებით დაათვალიერეთ ხეხილის ვარჯი, ქერქში ხშირად მავნებლები დებენ კვერცხებს, მათი მოშორება აუცილებელია რადგან, დათბობისთანავე მატლები გამოიჩეკება და ტოტებს, ყლორტებსა და კვირტებს დააზიანებს.

მნიშვნელოვანია მუხლუხო მატლების მოცილება, რომლებიც ხეებზე იზამთრებენ.

თუ ტემპერატურული რეჟიმი დღეღამის განმავლობაში მკვეთრად იცვლება, ხეები კირხსნარით შეათეთრეთ (10 ლიტრ წყალზე 2-3 კილოგრამი გადამწვარი კირი).

ამავე მიზეზით, ხეებზე ზოგჯერ ქერქი სკდება მაღლა იწევს (ვარჯს შორდება) და ქერქის ქვეშ დარჩენილი სიცარიელე მავნებელთა ბუდედ იქცევა. ამ შემთხვევაში ქერქი შეგიძლიათ წვრილი ლურსმნით მიაჭედოთ და იგი გაზაფხულზე ისევ შეეზრდება ხეს, ან მოაცილეთ და ბაღის მალამო წაუსვით, რომ ჭრილობა არ დარჩეს.

მოაცილეთ ხეებს ხავსი და მღიერები!

თებერვალში, თუკი თბილი ამინდები დადგა, აუცილებელია, დავიწყოთ ხეხილის და კენკროვანი კულტურების გასხვლაც, სხვადასხვა ხეხილოვანი კულტურების მოწესრიგება უპირველესი საქმეა, რომ მერე კარგი მოსავალი მოგვცეს.

კენკროვან კულტურებს გადაბერებული, დაავადებული და სუსტი ტოტები უნდა მოვაცილოთ, რომ მსხმოიარობა უხვი იყოს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე უხვი ნალექის პირობებში, ნარგავებში არ დადგეს თოვლის ნადნობი ან წვიმის წყლები. ასეთ შემთხვევაში აუცილებელად ჩაატარეთ სადრენაჟო ღონისძიებები, რომ მცენარეთა ფესვთა სისტემა ჭარბმა ტენმა არ დააზიანოს.

ამავე პერიოდში შეადგინეთ თესვის და დარგვის პირადი სამეურნეო კალენდარი. უნდა განსაზღვროთ, რისი დათესვა-დარგვა გინდათ, სად უნდა მოიძიოთ, მომზადეთ თესლი დასათესად, დააფასოვეთ დათესვის დროის მიხედვით, დაიწყეთ ჩითილების გამოყვანა-დახურულ სივრცეში.

გამხმარი, დატეხილი ტოტები, ნასხლავი, ფოთლები და სხვა ორგანული ნარჩენები მოაგროვეთ და გამოიყენეთ: კომპოსტირებისთვის, ბრიკეტირებისთვის, კვლების ამაღლებისთვის და ა.შ.

გაზაფხულზე ბევრი საქმე გექნებათ, ამიტომ გარკვეული სამუშაოები სჯობს ეხლა მოილიოთ.

შეადგინეთ ფერმერის დღიური, დაიწყეთ ჩატარებული სამუშაოების და გაწეული ხარჯების აღრიცხვა, რათა წლის ბოლოს შეძლოთ დადგენა, რამდენად შემოსავლიანი იყო თქვენთვის მეურნეობა, რამდენად დაფსდა თქვენი შრომა. გარდა ამისა ეს დაგეხმარებათ, შემდეგ წლის სამუშაოების უკეთ და ეფექტურად დაგეგმვაში.

წარმატებულ და მოსავლიან წელიწადს გისურვებთ!

agrokavkaz.ge

გაზაფხული ვენახში

კარგი მეღვინე გაზაფხულიდან იწყებს ზრუნვას შემოდგომაზე დასაწური ღვინის ხარისხზე. კარგი მეღვინე კარგი მევენახეცაა – მთელი წლის განმავლობაში ვენახში ფუსფუსებს და გასხვლიდან დაწყებული რთველით დამთავრებული, ვაზის ყოველი გასაჭირი იცის.

კარგი მეღვინის მთავარი მოკავშირე და პარტნიორი მისივე ვენახია. მეღვინე და მევენახე მთელი წლის განმავლობაში ეხმარებიან ერთმანეთს და ერთობლივი ძალებით ცდილობენ, შექმნან ისეთი ღვინო, რომელიც ადამიანებს შვებას და ლხენას მოუტანს.

გაზაფხულზე ვენახში რამდენიმე აუცილებელი საქმეა გასაკეთებელი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი გასხვლაა. ზოგიერთი ვენახს შემოდგომაზე სხლავს და საქმეს წინ იგდებს. თუმცა, შემოდგომაზე გასხლული ვაზი გაზაფხულზე შედარებით ადრე იღვიძებს და ნაადრევი ყინვის შემთხვევაში, შეიძლება, პრობლემები შეექმნას. ამავე დროს, ძლიერ ყინვიანი ზამთრის პირობებშიც არსებობს შემოდგომაზე გასხლული ვაზის დაზიანების რისკი. ამიტომ ბევრი მევენახე გასხვლას გაზაფხულის პირზე – თებერვლის ბოლოს ამჯობინებს.

გასხვლისათვის აუცილებელია, მევენახემ კარგად შეარჩიოს და გალესოს სასხლავი იარაღი. ძველად ვენახს დანით სხლავდნენ. დანა უფრო სანდო და მოხერხებულმა სასხლავმა მაკრატელმა შეცვალა, რითაც ვენახი უფრო სწრაფად და ამავე დროს, ხარისხიანად ისხვლება. თუმცა, ბოლო ხანს კარგი სასხლავი მაკრატლები საკმაოდ გაძვირდა. იაფად შეიძლება ისეთი მაკრატელი შეიძინო, რომელიც ერთი სეზონის შემდეგ ფუჭდება ან თავიდანვე ცუდად მუშაობს. ცუდი სასხლავი მაკრატელი ვაზის რქებს არასწორად ხლეჩს. დაზიანებული რქა შემდეგ ცუდად ხორცდება და დაავადების კერად იქცევა.

„ვენახს ყველა თავის ჭკუაზე სხლავს, იმისდა მიხედვით, თუ რას მოითხოვს და რას ელის მისგან. ვისაც უნდა, დიდი მოსავალი მოიწიოს, რომ ქარხნებს დიდი რაოდენობით ყურძენი ჩააბაროს, ვაზს „ტვირთავს“, ანუ მაქსიმალურად ბევრ რქას უტოვებს. ვინც ხარისხიან ღვინოზე ფიქრობს, იგი ორი–სამი რქის მეტს არ ტოვებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისეთი რქების სწორად ამორჩევას, რომლებიც ერთი მხრივ, კარგად დაისხამს, მეორე მხრივ კი ვაზის სწორად ფორმირებასაც განაპირობებს. ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ამიტომ არის შემთხვევები, როცა ვაზზე უნაყოფო რქებს ტოვებენ, ხოლო ვენახების დიდი ნაწილი საქართველოში უსწორმასწოროდ არის ფორმირებული. მე თითო ვაზზე, 6–7 კვირტზე გასხლულ ორ რქას ვტოვებ სანაყოფოდ და კიდევ – ორ–ორ ნეკს, ორ კვირტზე. ნეკები, როგორც წესი, არ ისხამს და სამომავლო რეზერვია – ე. წ. სამამულე რქები. ვაზს თუ სამამულე რქა არ დაუტოვე, შემდეგ წელს ნაყოფს ვეღარ გამოიტანს“.

გასხვლის შემდეგ გაზაფხულზე ვენახი უნდა გასუფთავდეს. ჩვენთან გასხლულ რქებს ერთად აწყობენ, კონავენ და ვენახიდან გამოაქვთ. ბევრი გლეხი ნასხლავს იქვე წვავს, რაც არც თუ ისე სწორი გადაწყვეტილებაა ეკოლოგიური თვალსაზრისით. ევროპაში ბევრი ბიომევენახე ნასხლავ ლერწებს სპეციალური მანქანით აქუცმაცებს და ვენახში ტოვებს. დაქუცმაცებული ლერწები მინას ერევა და საუკეთესო ორგანული სასუქია. საქართველოში ასეთი მანქანა-დანადგარი ფაქტობრივად არავის აქვს. ამიტომ ნასხლავის დაწვა ყველაზე პრიმიტიული და ადვილი გამოსავალია. ვისაც ვენახი დიდ ფართობზე არა აქვს გაშენებული და ნასხლავიც ბევრი არ რჩება, შეკონილი ლერწები შინ მიაქვს, აბინავებს და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში თონის გასახურებლად ან მწვადის შესაწვავად იყენებს. ცნობილია, რომ ვაზის ლერწზე შემწვარ მწვადს საუკეთესო გემო აქვს.

შემოდგომაზე მოხნულ ვენახს გაზაფხულზე კულტივაცია სჭირდება. ვინც ვენახს ქიმიური სასუქით კვებავს, იგი იძულებულია, დახვნა–კულტივაცია ყოველ წელს ჩაატაროს. ორგანული სასუქის (ნაცარი, ნაკელი, კომპოსტი და ა. შ.) ოპტიმალური დოზით გამოყენება მევენახეობაში ბევრად უფრო ეკოლოგიური მიდგომაა. ასეთ შემთხვევაში, ვენახს ყოველ წელს დახვნაც არ დასჭირდება.

გასხვლისა და გასუფთავების შემდეგ იწყება ვენახს რემონტი – დაზიანებული ბოძებისა თუ ჭიგოების შეცვლა, გამაგრება და გასწორება, აგრეთვე – მავთულების დაჭიმვა. ამის შემდეგ მევენახემ კვირტის გაშლამდე შეყელვა უნდა მოასწროს – სანაყოფედ დატოვებული რქები ბოძებზე გაჭიმულ მავთულზე მიაბას. როგორც წესი, რქები ყველაზე დაბლა, პირველ მავთულზე უნდა მიებას გადაწვენით, რათა ახალი ყლორტები შემდეგ ზედა მავთულებზე ავიდეს. შეყელვისას რქების მისაბმელად საუკეთესოა მცენარეული თოკები და სიმინდის ფუჩეჩი, რომელსაც წინა დღით წყალში ალბობენ, შემდეგ მსხვილად ძაფავენ და მისაბმელად იყენებენ. ბოლო ხანს შესაყელად ასევე გამოიყენება პლასტიკის სამაგრები. მნიშვნელოვანია, რომ შეყელვა დაიწყოთ მას შემდეგ, რაც რქაში წვენის მოძრაობა დაიწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მავთულზე გადაწვენისას, ზამთრის ძილის მდგომარეობაში მყოფი რქები სიმყიფისაგან ადვილად გაგიტყდებათ და იზარალებთ.

შეყელვის შემდეგ მევენახე ორი-სამი კვირით ისვენებს. დაახლოებით აპრილის ბოლოსკენ „კვირტი გამოვა“, ანუ ვაზი გაიფოთლება. ვენახში დაავადების გაჩენის რისკი იზრდება და დაუყონებლივ უნდა დავიწყოთ პრეპარატების შესხურება.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

ვაზის კულტურა და მისი განოყიერების (კვების) სისტემა

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს მთელი არსებული ისტორიის მანძილზე თვალსაჩინო როლს ასრულებდა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებაში.

ვაზიდან მიღებულ პროდუქცია მრავალი დანიშნულებით გამოიყენება. მისგან მიიღება სუფრის ყურძენი, რომელშიც შაქარი 18-25 % აღწევს, ძველთაგანვე ითვლება საუკეთესო დიეტურ სამკურნალო და გემრიელ საკვებად.

ყურძნის წვენი აწესრიგებს ორგანიზმში ფიზიოლოგიურ პროცესებს, ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, საჭმლის მონელებას. დადებითად მოქმედებს კუჭის, თირკმელების და ფილტვების დაავადებებზე, ბრონქიტიან და ნერვიულ ავადმყოფობებზე.

ყურძნისგან ამზადებენ აგრეთვე ქიშმიშს, რომელსაც წარმატებით იყენებენ საშაქარლამო წარმოებაში. ყურძნის წვენი და ბადაგი, რომელებიც ძვირფას დიეტურ საკვებად ითვლებიან, ხელს უწყობენ ბავშვთა ორგანიზმის გამაგრებას, და საკვების წესიერად მონელებას, ორგანიზმს მატებენ სიხალისეს. ბადაგისაგან მზადდება ძვირფასი პროდუქტები: თათარა, ჩურჩხელა, ტყლაპი, მურაბა, ჟელე, მარმალადი და სხვა.

ყურძნის პროდუქციის ყველაზე ძვირფას და სასარგებლო სახეობას ღვინო წარმოადგენს. ის ორგანიზმს ანიჭებს სიხალისეს, მხნეობას, გამძლეობას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, გულის მუშაობას, კუჭის ნორმალურ მოქმედებას. მაგრამ ღვინის გადაჭარბებული რაოდენობით მიღება მავნებელია, რადგან იწვევს ორგანიზმის ფუნქციათა დარღვევას, გულის და მთელი ორგანიზმის მუშაობის შესუსტებას, ზოგ შემთხვევაში მისი მოწამვლასაც კი.

ყურძნის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ჭაჭა გამოიყენება სპირტისა და არაყის გამოსახდელად, რომელთაც იყენებენ მედიცინაში და კვების მრეწველობაში. მისი წიპწისაგან ხდიან ძვირფას ენოტანინს და ზეთებს, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიაში და ყავის დასამზადებლად, ხოლო მისი ანასხლავი ქაღალდის დასამზადებლად.

ვაზის კულტურის კვების თავისებურებანი

ტროპიკულ ქვეყნებში ვაზი მარადმწვანე მცენარეს წარმოადგენს და სუბტროპიკული და კონტინენტური ჰავის პირობებში ახასიათებს ფოთოლცვენა. ის მრავალწლიანი მცენარეა, ერთსა და იმავე ადგილზე გაშენებულია 30-40 წლის განმავლობაში, რის გამოც ძლიერ აღარიბებს ნიადაგს საკვები ელემენტებით.

ამასთან ერთად, მისი ცალკეული ჯიშები არაერთნაირ მოთხოვნიოლებას იჩენენ როგორც კვების, ისე გარემო პირობების მიმართ. აქედან გამომდინარე ყურძნის მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად და ვაზის განოყიერების სისტემის სწორად წარმართვისათვის, საჭიროა კარგად ვიცოდეთ მისი ბიოლოგიური თავისებურებები.

მორფოლოგიური და ანატომიური აღნაგობა

ვაზის ცხოვრება წლის პერიოდში იყოფა: აქტიურ და პასიურ ხანად.

ვაზის პასიური ხანის ხანგრძლივობა დამოკიდებულია, როგორც კლიმატურ პირობებზე ისე ბიოლოგიურ თავისებურებებზე. მოსვენების პერიოდში მიმდინარეობს სუნთქვის და აორთქლების პროცესები, საკვები ელემენტების გადანაცვლება ერთწლიანი ნაზარდებიდან მრავალწლიანში, აქედან ფესვებში.

ვაზის განვითარების აქტიური ხანა იყოფა შემდეგ ბიოლოგიურ ფაზებად: ა) ტირილი, ბ) კვირტის გაფურჩქვნა და ყლორტის განვითარება, გ) ყვავილობა, დ) მარცვლის გამონასკვა, ე) ყურძნის სრული სიმწიფე და ვ) ფოთოლცვენა.

პირველი ბიოლოგიურ ფაზა იწყება წვენთა მოძრაობის დაწყებიდან და გრძელდება 10 – 15 დღე. ამ პერიოდში იწყება ბუსუსა ფესვების მიერ ახალი მინერალური ნივთიერებების შეთვისება და სამარაგო ნივთიერებებთან ერთად ვაზის ზედა ორგანოებში გადანაცვლება.

მეორე ბიოლოგიურ ფაზაში დღიური ნაზარდი 5-10 სმ აღწევს და 45-55 დღე გრძელდება. ამ პერიოდში სწრაფად მატულობს საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილება განსაკუთრებით აზოტზე ამოტომ ამ ფაზის დასასრულს ტარდება აზოტით გამოკვება.

მესამე ბიოლოგიური ფაზა ყვავილობა, გრძელდება 10-15 დღე. სავეგეტაციო ორგანოებისა და ფესვთა სისტემის განვითარება მაქსიმუმს აღწევს, რის გამოც მკვეთრად იზრდება საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილება ამ პერიოდში ბორისა და ფოსფორის სიმცირის შემთხვევაში, ვერ ხერხდება ყვავილის განაყოფიერება, რადგან მტვრის მარცვალი კარგავს განაყოფიერების უნარს, რის გამოც ადგილი აქვს ყვავილების მასიურ დაცვენას და თხელმტევნიანობას. ამიტომ ამ პერიოდს უნდა უსწრებდეს აზოტიანი და ბორიანი მიკროსასუქით გამოკვება.

მეოთხე ბიოლოგიური ფაზა იწყება მარცვლის გამონასკვით და ყურძნის თვალში შესვლით და გრძელდება 40-60 დღე, ამ პერიოდში ყლორტები ნელა იზრდება სიგრძეში, სიმსხოში ძლიერად, კვირტებში ისახება მომავალი წლის მოსავალი, ყვავილედების სახით. მარცვალი მსხვილდება მცირდება მასში ქლოროფილის და იზრდება მჟავებისა და სახამებლის დაგროვება, ამ პერიოდში საკვებ ელემენტებზე მოთხოვნილება წინა ფაზასთან შედარებით მცირდება.

მეხუთე ბიოლოგიური ფაზა იწყება ყურძნის თვალში შესვლით და მთავრდება სრული სიმწიფით. ის გრძელდება 20-60 დღე. მარცვალი იწყებს შერბილებას და ჯიშისათვის დამახასიათებელ შეფერილობის მიღებას. მასში გადადის ფოთოლში წარმოშობილი ნახშირწყლები, რომელთაგან სახამებელი გარდაიქმნება გლუკოზად, მცირდება მჟავიანობა.

მეექვსე ბიოლოგიური ფაზა იწყება ყურძნის ფიზიოლოგიური სიმწიფით, გრძელდება 34-45 დღე და მთავრდება ფოთოლცვენით. რთველი იწყება მაშინ, როცა შაქრიანობა 18-20, ხოლო მჟავიანობა 8-9 %-მდე შემცირდება.

ვაზი კვების პირობების მიმართ შედარებით დაბალი მოთხოვნილებით გამოირჩევა, ამიტომ ის თითქმის ყველა ტიპის ნიადაგზე მოჰყავთ, სადაც მთელი რიგი კულტურების მოყვანა შეუძლებელია ან არ შეიძლება, მიუხედავად ამისა ყველაზე მაღალ და ხარისხიან მოსავალს იძლევა მსუბუქ, ღრმა, სტრუქტურულ ჰუმუსით უზრუნველოფილ ნიადაგებზე, განსაკუთრებით კარბონატულ ნიადაგებზე.

დაბალი მოსავლიანობით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს მჟავე ნიადაგებზე გაშენებული ვენახები. ამიტომ

გაგრძელება მე-5 გვ. -ზე

დასაწყისი მე-4 გვ. -ზე

ისინი 10-15 წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოითხოვენ კირით ტკილით ან დოლომიტით მოკირიანებას, დაუშვებელია ბიც და ბიცობ ნიადაგებზე ვენეხის გაშენება მოთაბაშირების გარეშე.

ვაზი მეზოფიტ მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნის. მისი ფესვთა სისტემა ვითარდება ნიადაგის ღრმა ფენებში და გვალვიან პირობებშიც ითვისებს, ტენისა და საკვები ელემენტების საკმაო რაოდენობას და იძლევა ნორმალურ და მაღალხარისხიან მოსავალს. მაგრამ მეტად გვალვიან ადგილებში, სადაც წლიურად 400 მმ ნაკლები ნალექი მოდის საჭიროებს 1 – 2 ჯერ მორწყვას.

საკვები ელემენტების სიმცირისა და სიჭარბის სიმპტომები ვაზისათვის

აზოტი. აზოტს ვაზის ყველა ორგანო შეიცავს დაახლოებით 1-3% რაოდენობით. ის დიდი რაოდენობით შედის ფოთლებში, ყლორტებსა და მზარდ ნაწილებში. ამ ელემენტის სიმცირის შემთხვევაში მკვეთრად ეცემა ყურძნისა და ღვინის ხარისხი.

აზოტის სიმცირე პირველ რიგში შეიმჩნევა ქვედა ფოთლებზე, რომელნიც ბევრად უფრო წვრილი აგებულების არიან ვიდრე ნორმალური ფოთლები. ამასთან ერთად ისინი იღებენ მომწვანო მოყვითალო შეფერვას, ყლორტები სუსუტად იზრდება და გააჩნიათ მოკლე მუხლთშორისები.

აზოტით შიმშილის დროს მისი ფოთლების უმრავლესობა ქლოროზით ავადდება, ალაგ-ალაგ ამავე ფოთლებს გადაჰკრავს წითელი შეფერილობა, დაძარღვაც ყვითელი შეფერვისაა. ზოგიერთი ყლორტები წყვეტენ ზრდას.

ვაზისათვის საზიანოა აზოტით ჭარბი კვებაც, განსაკუთრებით მაშინ როცა ირღვევა თანაფარდობა ამ ელემენტისა ფოსფორთან, კალიუმთან, რკინასთან და სხვა ელემენტებთან. მართალია ამ შემთხვევაში ვეგეტატიური ორგანოები მძლავრად იზრდებიან, მაგრამ ინვითარებენ განსაკუთრებით მცირე რაოდენობით მტევანს, ამასთან ერთად ყურძენი გვიან მწიფდება, გამოირჩევა დაბალი შაქრიანობით.

აზოტის ჭარბი კვების პირობებში ფოთლები შეფერილია მუქ მწვანედ, ყლორტებიც მწვანე შეფერილობისაა და მძლავრად იზრდებიან, ადვილად ავადდებიან და ზიანდებიან მავნებლებისაგან. საგრძნობლად ეცემა ვაზის გვალვა და ყინვა გამძლეობა, ვინაიდან შემოდგომით ხანგრძლივდება ვეგეტაცია, ყლორტები ვერ ასწრებენ მომწიფებას და ზამთარში ადვილად იყინებიან.

ძალზე დაბალია მიღებული ყურძნისა და ღვინის ხარისხი. სასუფრე ყურძნის მარცვალი ადვილად სკდება და ლპება. ძალზე მცირდება მისი შენახვის ხანგრძლიობა. აზოტით მოჭარბებული კვებისას ღვინო მასალაში გადადის საკმაოდ დიდი რაოდენობით ცილოვანი შენაერთები. ასეთი ღვინო ცუდად იფილტრება და ადვილად იმღვრევა, რის გამოც მეტად დაბალია მისი სასაქონლო ღირებულება. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ ასეთი ღვინო ადვილად ავადდდება განსაკუთრებით თაგვის გემოთი.

ფოსფორი. ფოსფორის შემცველობა ვაზის ორგანოებში 1%-მდე აღწევს. ის ზრდის ვაზის ავადმყოფობათა, გვალვა და ყინვა გამძლეობას. ფოსფორის სიმცირის დროს სუსტად ვითარდება ვაზის ფესვთა სისტემა და მინისზედა ორგანოები, ძლიერ მცირდება გენერაციული ორგანოების წარმოქმნა და ფორმირება, ყვავილობისა და მსხმოიარობის პროცესი.

ვაზი ინვითარებს მცირე ზომის მუქ მწვანედ შეფერილ ფოთლებს, რომლებიც ყლორტის ქვედა იარუსზე იღებენ ალისფერ შეფერილობას. ძლიერი დეფიციტის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფოთლის ზოგიერთი მონაკვეთის ხმობას.

ფოსფორით ნორმალური კვება ადიდებს მოსავლიანობას, აჩქარებს ნაყოფების მომწიფებას, ზრდის შაქრების შემცველობას და აუმჯობესებს ღვინის ხარისხს. ამ ელემენტით მოჭარბებული კვება მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობას, ამცირებს სავეგეტაციო მასის რაოდენობას, რაც მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს.

კალიუმი. კალიუმის საერთო შემცველობა ვაზის ორგანოებში 2 %-მდეა. მისი ნაკლებობისას ვაზი ინვითარებს დიდი რაოდენობით წვრილ ფოთლებს, რომელთა კიდეები კალიუმის დეფიციტის პირობებში მთელ გარშემოწერილობაზე იღებს ყავისფერ შეფერილობას და ხმება, რაც არის ამ ელემენტის სიმცირის სიმპტომი „კიდეების სიდამწვრე“.

ზოგიერთი ქვედა იარუსის ფოთოლი იღებს შვინდისფერ შეფერილობას და ისინიც ხმებიან. ვაზის ყლორტები ინვითარებს მოკლე მუხლთშორისებს და მრავალ წვრილ ნამხრევს. ყურძნის მარცვლში უჯრედის კედლები თხელდება უჯრედანას შემცველობის შემცირების გამო, ამიტომ უხვნალექიან პერიოდში ან ჭარბი რწყვის დროს მარცვლის კანი ადვილად სკდება და ლპება. მცირდება მასში შაქრიანობა, იზრდება მჟავიაანობა, რის შედეგადაც ეცემა ღვინის ხარისხი.

კალიუმით ნორმალური კვება ხელს უწყობს ქსოვილების უკეთ დიფერენცირებას, და საკვებ ნივთიერებათა ცვლის პროცესს. ადიდებს ვაზის გამძლეობას არახელსსაყრელი პირობების მიმართ.

კალციუმი. კალციუმი აუმჯობესებს ღვინის ხარისხს, ზრდის ყურძენში შაქრიანობას, რის გამოც უფრო მაღალი ხარისხის ღვინო მზადდება. ის ღვინოს მატებს სიხალისეს, აუმჯობესებს ბუკეტს. ამ ელემენტით ჭარბი კვება იწვევს ვაზის დაავადებას ქლოროზით.

მაგნიუმი და რკინა. ზოგიერთ ნიადაგზე ვაზი განიცდის მაგნიუმის და რკინის ნაკლებობას, რაც ხშირ შემთხვევაში ქლოროზით დავაადების მიზეზი ხდება და საგრძნობლად ამცირებს მიღებული ყურძნის და ღვინის ხარისხს.

მიკროელემენტები. ბორის სიმცირე უარყოფით გავლენას ახდენს ვაზის ახალგაზრდა მოზარდი ორგანოების ზრდა-განვითარებაზე და მსხმოიარობაზე, ნაყოფებში შაქრების შემცველობაზე. განსაკუთრებით იჩაგრება ფესვისა და ღეროს ზრდის წერტილები, რომლებიც ძლიერი დეფიციტის პირობებში ხმებიან და შემდგომში ხელსაყრელ პირობის დადგომისას კვლავ ანახლებენ ზრდას და 2-3 ყლორტს და ათეულობით ფესვებს წარმოქმნიან.

დავადებული მცენარეები მცირე რაოდენობით მტევნებს და ყვავილებს ინვითარებენ, რომელთა მტვრის მარცვალს არ გააჩნია განაყოფიერების უნარი, რის გამოც მტევანზე ძალზე შემცირებულია გამონასკვის პროცენტი და გაზრდილია წვრილი და განუვითარებელი მარცვლების რიცხვი. გარდა ამისა ბორის დეფიციტის პირობებში ცხელ ამინდში ადგილი აქვს ვაზის ნეკროზით დაზიანებას რომელიც, წარმოადგენს ფიზიოლოგიურ პროცესს და არა სოკოვან დავადებას.

თუთიის სიმცირის დროს პირველ რიგში იჩაგრება და მუხრუჭდება ვაზის ახალგაზრდა ორგანოების ზრდა–განვითარება. მისი ფოთლები იღებენ მოთეთრო მოყვითალო მომწვანო შეფერილობას. შემდგომში შიმშილის გახანგრძლივებისას როგორც ზედა ისე შუა იარუსის ფოთლებზე ვითარდება ძარღვთშორისი ქლოროზი და დავადებული ადგილები იწყებენ ხმობას. მტევანზე ვითარდება დიდი რაოდენიბით დეფორმირებული მარცვლები.

მანგანუმის სიმცირის შემთხვევაში ვაზის ზრდა ჩერდება, მაგრამ ზრდის წერტილები არ ზიანდება. ის აპირობებს ზედა იარუსის ფოთლების ძარღვთშორიშების ქლოროზს, რომლის დროსაც ფოთოლს გააჩნია მოყვითალო ან მოყვითალი-მოწითალო შეფერილობა.

ქლოროზით დავადებული ადგილები ზოლებად არიან განლაგებული ფოთლის ფირფიტაზე. თუ ამ ელემენტით შიმშილი დროულად არ იქნა აღკვეთილი, ადგილი აქვს ქლოროზით დავადებული ქსოვილების მთლიანად გახმობას.

მოლიბდენის სიმცირე აპირობებს მცენარეში აზოტის ცვლის დარღვევას, რის გამოც ზედა იარუსის ფოთლების ძარღვებშორისებში თავდაპირველად შეინიშნება ღია მწვანე ან მკრთალი ყვითელი შეფერვა, რომლებიც შემდგომში მთლიანად ქლოროზული და ალაგ-ალაგ ამობურცული ხდებიან და ხმებიან. ფოთლის კიდეები ზემოთ არის ამოხვეული.

ვაზზე მიკროელემენტების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ყველაზე სწრაფმომქმედ და იაფფასიან ღონისძიებას მიკროსასუქებით ფესვგარეშე გამოკვებაა წარმოადგენს.

ვენახის მოთხოვნილება საკვებ ელემენტებზე და მათი გამოტანა მოსავლით

ვენახის ფესვთა სისტემის ძირითადი მასა მოთავსებულია 20-60 სმ ფენაში. ტენიან პირობებში 15-30 სმ ფენაში. ეს სპეციფიკა გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიადაგში სასუქების შეტანისას.

ვაზს სავეგეტაციო პერიოდში საკვები ელემენტების შეთვისება შედარებით გაგრძელებული აქვს. ამასთან აზოტისა და ფოსფორის შეთვისება ძლიერდება ყვავილობის პერიოდში. აზოტის დღეღამური შთანთქმა სიმწიფის პერიოდში მკვეთრად მცირდება, კალიუმის იზრდება. აზოტის მაქსიმალური დაგროვება ემთხვევა, ვეგეტატიური ორგანოების ზრდის დამთავრებას, ფოსფორისა და კალიუმის-ყურძნის ტექნიკური სიმწიფის პერიოდს.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე ზრდის დასაწყისში, განსაკუთრებით კი ყვავილობის ფაზაში ვაზი უფრო მგრძნობიარეა, აზოტისა და ფოსფორის სიმცირის მიმართ, მომწიფების პერიოდში კალიუმის მიმართ.

ვაზი მსხმოიარობის ორგანოების ფირმირებას იწყებს წინა წელს და ამთავრებს შემდეგ წელს კვირტების გაშლის წინ. ამიტომ ვეგეტაციის დასაწყისში საკვები ელემენტებით არასაკმარისი უზრუნველყოფა იწვევს, მათ ძლიერ უკუდენას მტევანებში, რის გამოც სუსტდება საყვავილე კვირტებისს ჩასახვა, რაც აპირობებს ყურძნის მოსავლის შემცირებას შემდეგ წელს.

ვაზის მიერ საკვები ელემენტების გამოყენება მერყეობს და იცვლება განვითარების ფაზების, ნიადაგურ –კლიმატური პირობების, ჯიშური თავისებურებების, დატვირთვის, მსხმოიარობის, მცენარის ასაკის, აგროტექნოლოგიური ღონისძიებების ჩატარების ხარისხის მიხედვით.

ორგანული სასუქებისა და მაკრო და მიკროელემენტების საორიენტაციო ნორმები ვაზის კულტურისათვის

მევენახეობაში სასუქების ეფექტურობის გადიდებისათვის დიდი ნიშვნელობა ენიჭება საკვები ელემენტების ნორმების ზუსტად დადგენას, რომლებიც ცვალებადობს ვაზის ბიოლოგიური თავისებურებების, ხნოვანების, ნიადაგის ნაყოფიერების, კლიმატური პირობების, გამოყენებული სასუქების ფორმების, გასარწყავების და ვაზის დატვირთვის ხასიათის მიხედვით.

ჩამოთვლილი მახასიათებლების შესაბამისად მსხმოიარე ვენახებისა და სადედეების გასანოყიერებლად გათვალისწინებულია ორგანული და მინერალური სასუქების დიფერენცირებული ნორმები. ორგანული სასუქებიდან ნაკელი საჭიროა გამოყენებული იქნეს აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ვენახებში 20-25ტ, სარწყავებში 25-30 ტ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ვენახებში 30-40ტ 3-4 წელიწადში ერთხელ.

მინერალური სასუქების ნორმების დიფერენცირება უმჯობესია მოხდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონების მიხედვით სარწყავი და ურწყავი პირობებისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს, კახეთის რეგიონის ვენახებისათვის რეკომენდირებულია აზოტის – 45-60-90 კგ შეტანა, ფოსფორის 60-90 და კალიუმის 40-90კგ/ჰა კახეთისა და ქართლის სარწყავი ვენახებისათვის აზოტი 60-90-120; ფოსფორი 60-90-120; კალიუმი 60-90კგ/ჰა. დასავლეთ საქართველოს ზომიერ ნალექიან რაიონებში აზოტი შეიტანება 90-120-150, ფოსფორი 90-120, კალიუმი 60-90 კგ/ჰა.

თანაამედროვე პირობებში მევენახეობაში სასუქების სისტემტური გამოყენებისას რეკომენდირებულია უფრო ზომიერი ნორმების შეტანა, ვინაიდან ვაზის მიერ საკვები ელემენტების პროდუქტიული გამოტანა ბევრად დაბალია შეტანილ რაოდენობაზე, ამიტომ სასუქების მაღალი ნორმების გამოყენებას მივყავართ ვაზის ორგანოებში საკვები ელემენტების ჭარბი როდენობით დაგროვებამდე, რაც უარყოფითად მოქმედებს ვაზის შემდგომ კვებაზე და ზრდაზე, აპირობებს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას და გარემოს ძლიერ გაჭუჭყიანებას. განსაკუთრებით სიფრთხილე გვმართებს აზოტის მაღალი ნორმების 100-250 კგ ჰა გამოყენებისას, რასაც ბევრი მკვლევარი ურჩევს.

აზოტის ასეთი მაღალი ნორმები ძალზე უარყოფით როლს ასრულებენ გენერაციული ორგანოების განვითარებაში და კვირტების ჩასახვაში.

ვენახის 70-100 ც/ჰა მოსავლიანობის დროს არ არის რეკომენდირებული სრულ მინერალურ სასუქში ცალკეული საკვები ელემენტის ნორმის 90 კგ ზევით გადიდება, 100-150 ც/ჰა მოსავლიანობის დროს 120 კგ ზევით გადიდება, ის ეკონომიკურედაც გაუმართლებელია და ფიზიოლოგიურადაც, ვინაიდან ვერ იწვევენ მოსავლის საგრძნობ მატებას, ადიდებს ნიადაგის ხსნარის კონცენტრაციას და ამით ართულებს მცენარის კვებას.

ახალგაზრდა ვენახის განოყიერება

თუ პლანტაჟისა და რგვის დროს შეტანილია მინერალური და ორგანული სასუქები, ახალგაზრდა ვაზი განოყიერებას აღარ საჭიროებს მხოლოდ მესამე – მეოთხე წლიდან იწყება 30 – 40 კგ ახოტიანი სასუქის გამოყენება.

მსხმოიარე ვენახის განოყიერება

მსხმოიარე ვენახში სასუქების ნორმები დაზუსტებული უნდა იქნეს ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების, ტენით უზრუნველყოფის, მცენარის მდგომარეობის, ფოთლებში საკვები ელემენტების შემცველობის, წინა წლის მოსავლის დონის და ხარისხის მიხედვით.

აზოტიანი სასუქების 60% ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულხე ვეგეტაციის დაწყებისა და ნიადაგის გადახვნის წინ. ამ სასუქებიდან ვენახის გასანოყიერებლად გამოიყენება ამონიუმის გვარჯილა, შარდოვანა და ამონიუმის სულფატი. ფოსფორიანი სასუქებიდან – მარტივი სუპერფოსფატი, ორმაგი სუპერფოსფატი და ფოსფორიტის ფქვილი. კალიუმიანი სასუქებიდან კალიუმის ქლორიდი და კალიუმის 40 % მარილი.

სარწყავ პირობებში განსაკუთრებით მსუბუქ ნიადაგებზე სასუქების ნორმის ნახევარი შეაქვთ ძირითადი განოყიერებისას, დანარჩენი ორი გამოკვების სახით. კომპლექსური სასუქებიდან ვენახის გასანოყიერებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ამოფოსი, დიამოფოსი, ნიტროფოსი, ნიტროამოფოსი, ნიტროფოსკა, ნიტროამოფოსკა.

მიკროელემენტების სიმცირის აღმოჩენისას ვენახში აუცილებლად უნდა იქნეს შეტანილი მიკროსასუქები.

მიკროსასუქებიდან გამოიყენება ბორის მჟავა, თუთიის სულფატი, მოლიბდენმჟავა ამონიუმი, მანგანუმის შლამი და სპილენძის სულფატი, რომელთა ნორმები, შეტანის ვადები და წესები ციტრუსოვანი კულტურების ანალოგიურია.

დამატებითი გამოკვება

მსხმოიარე ვენახის მოსავლიანობის გადიდების საქმეში საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა ფესვური და ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება მაკრო და მიკროელემენტებით, რაც ყვავილობის წინა პერიოდს ემთხვევა. ამ პერიოდში შეიტანება აზოტის სრული ნორმის 40 %.

მევენახეობაში ხშირ შემთხვევაში უფრო ეფექტურია მიკროელემენტების შემცველი ხსნარებით ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება. ამ მიზნით იყენებენ ბორის, თუთიის, მანგანუმის, სპილენძის შემცველი მარილების სხვადასხვა კონცენტრაციის ხსნარებს, პირველ შესხურებას აწარმოებენ ყვავილობის წინ და შემდგომში საჭიროების და მიხედვით რამდენჯერმე იმეორებენ. თუ ვაზს რამდენიმე მიკროელემენტი აკლია, უმჯობესია მათი ერთთდროულად შესხურება.

შრომის გაიოლებისა და დანახარჯების შემცირების მიზნით უმჯობესია მიკროსასუქების ხსნარების შესხურება ბორდოს ხსნართან ან სხვა პრეპარატების ხსნარებთან ერთად, რომლებიც მიკროელემენტებს უხსნად ფორმაში არ გადაიყვანენ. ნიადაგში ბორი შეიტანება 2-3 კგ/ჰა ნორმით, ბორის მჟავას სახით. კარგ შედეგს იძლევა ამ სასუქის 0,01-0,03 % ხსნარით ფესვგარეშე გამოკვების ჩატარება (10-30გ 100 ლ-ში).

თუთიის შესატანი ნორმა არის 3-6 კგ/ჰა. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს თუთიის სულფატის 0,02-0,05 % ხსნარის ფოთლებზე შესხურება (20-50 გ 100 ლ-ში). მოლიბდენის ნორმა ყველა ტიპის ნიადაგზე 1,5-2,0 კგ/ჰა. ის შეიტანება მოლიბდენმჟავა ამონიუმის სახით. ფესვგარეშე გამოკვებისას გამოიყენება ამ სასუქის 0,02-0,03 % ხსნარი (20-30 გ 100 ლ-ში).

მანგანუმის შემცველი მიკროსასუქების მანგანუმის შლამისა და მანგანუმის სულფატის 3-6 კგ/ჰა გამოყენება ვენახზში საჭირო ხდება კირის მაღალი ნორმების შეტანისას. ფესვგარეშე გამოკვებისათვის გამოიყენება მანგანუმის სულფატის 0,05-0,1 % ხსნარი.

უკანასკნელ წლებში ევროპის მოწინავე მევენახეობის ქვეყნებში ვაზის კულტურის ბალანსირებული კვებისათვის ფართოდ დაინერგა წარმოებაში ახალი კომპლექსური სასუქების კრისტალონებისა და ტესნო კოქტეილის გამოყენება. კრისტალონის მრავალიფორმიდან როგორც პრაქტიკოსთა გამოცდილება გვიჩვენებს უმჯობესია ყვითელი და ყავისფერი მარკა.

ავტორები: ა. თხელიძე; ც. სამადაშვილი; ხ.ღოგორჯგინიძე

„ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოყიერების სისტემა“

agrokavkaz.ge

საქართველოში ყველაზე სუფთა რეგიონად კახეთი დასახელდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, 2018 წელს გამოცხადებული კონკურსის „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულად და ყველაზე სუფთა რეგიონად კახეთი დასახელდა.

კონკურსი ჩატარდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ ორგანიზებით, პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო (ფაზა III)“ ფარგლებში.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ კონკურსის მიზანი იყო ქვეყნის მასშტაბით გამოვლენილიყო ყველაზე სუფთა რეგიონი, სუფთა მუნიციპალიტეტი, სუფთა ქალაქი/დაბა, სუფთა სოფელი/თემი, სუფთა ქუჩა, ლამაზი ეზო და ლამაზი აივანი.

უწყების ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში დაწესებულმა კონკურსმა ქვეყნის მასშტაბით შეამცირა სტიქიური ნაგავსაყრელების რიცხვი, გაზარდა საზოგადოების ცნობიერება და პრიორიტეტული გახადა ნარჩენების მართვა.

ორგანიზაციის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველო“ თავმჯდომარის, ნინო ჩხობაძის განცხადებით, პროექტის ფარგლებში 2012-2013 წლებში აღრიცხული 1357 სტიქიური ნაგავსაყრელიდან დღევანდელი მონაცემებით ირიცხება 333.

„კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულები შემოსული ფოტო/ვიდეო მასალების საფუძველზე გამოავლინა სპეციალურად კონკურსისთვის შექმნილმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ჟურნალისტები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონკურსის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთვნენ რეგიონების წარმომადგენლებიც. 2018 წლის „სუფთა რეგიონის“ კონკურსის გამარჯვებულები არიან: ნომინაცია „სუფთა რეგიონი“ – კახეთის რეგიონი, ხოლო ნომინაციაში „იურიდიული პირის ეზო“ – თელავში ღვინის კომპანია GWS დასახელდა“, – განაცხადა ნინო ჩხობაძემ.

პროექტი ხორციელდება შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

საუცხოო მწერალი და სცენარისტი

ლეილა ბეროშვილი
(1949-2016 წ.წ.)

გარეგნობით აუცილებლად მოგეწონებოდათ: ნაზი, სიფრიფანა, არისტოკრატული ქალბატონი, ენძელას ჰგავდა, გაზაფხულის პირველ ყვავილს. მისი არსება სავსე იყო კდემით, სინაზით, ქალურობით. მისი განსხვავებული, დაუდევარი ჩაცმულობა, გრძელი, ფართხუნა, თითქოს მოდიდან გადასული, თან ძალიან შთამბეჭდავი ქვედაკაბები; აკვდებოდა თხელ ტან-ფეხზე კოჭებამდე ჩამოღვრილი ქსოვილები, მხარზე მოგდებული სხვადასხვა ფერის თავშლები და რამდენიმე ზომით დიდი ნაქსოვი ჟაკეტები. დაჯდებოდა სკამზე და დარჩენილ ცარიელ ადგილებს ფარდაგივით გადაფარებული კაბით ავსებდა. სიარულის მანერა ასეთი ჰქონდა: წელში გამართული დადიოდა აუცილებლად, ოღონდ დახვეწილი აღნაგობის გამოსაჩენად არა, სხეულს თვითონაც არ გრძნობდა და სხვას, მით უმეტეს, როგორ აგრძნობინებდა მის არსებობას; მსუბუქი ნაბიჯით ნიავს დაახვედრებდა გოგოსავით თმაშეკრეჭილ მაღალ შუბლს და ამოწეული ღაწვების ზემოთ ღილებივით ჩასმული მახვილი, თავზარდამცემი, ყოვლილსმომცველი, ზეცად ამაღლებული და გამუდმებით ესთეტიკურის მძებნელი თვალებით, ყველაფერს იმას დაინახავდა, რასაც ჩვენ – ვერასდროს. მერე კი დანახულს სიტყვად აქცევდა. მოკლე და ძალიან ზუსტ, შეუდარებელ სიტყვად, წლების მანძილზე რომ ხიბლავდა მკითხველს.

აი, ასეთი გახლდათ ცნობილი მწერლისა და პოეტის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, ან განსვენებული ილო ბეროშვილის უფროსი ქალიშვილი – ლეილა (ციცი) ბეროშვილი.

დაიბადა 1949 წლის 12 იანვარს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში (ძველ გავაზში) პაპის, 1934 წელს კომუნისტების მიერ გაკულაკებული და დახვრეტილი, ლაზარე ლევანის ძე ჭიჭიბოშვილის ოჯახში. დედა, დამსახურებული პედაგოგი, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი – მარიამ ლაზარეს ასული ჭიჭიბოშვილი გახლდათ.

1966 წელს წარმატებით დაამთავრა ახალსოფლის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1975 წელს, დაამთავრა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაულტეტიც.

მისი პირველი მოთხრობები 1973 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“, რომლებიც მოიწონა დიდმა ქართველმა მწერალმა – რევაზ ინანიშვილმა, დალოცა საოცარი სიფაქიზითა და მწერლური მადლით შემკული ახალბედა და სამომავლო წარმატებებიც უსურვა მას. ამის შემდეგ მისი ნოველები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ ლიტერატურულ პერიოდიკაში.

ლეილა ბეროშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახლ-მუზეუმსა და ლიტერატურის მუზეუმში, გაზეთ „მამულში“, ჟურნალებში – „განთიადსა“ და „თეატრალურ მოამბეში“, გამომცემლობებში – „მერანსა“ და „ნაკადულში“ მხატვრულ რედაქტორად, კინოსტუდიასთან არსებულ „მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში“ და სხვა.

1973 წელს შექმნა ოჯახი ჯემალ ქურხულთან, რომლისგანაც ეყოლა ვაჟი – ბექა ქურხული. ფანატიკურად უყვარდა თავისი პირმშო, შეეძლო საათობით ესაუბრა მასზე. ამჟამად ბექა ცნობილი და საკმაოდ წარმატებული მწერალია, არის მრავალი პრემიის ლაურიატი, მათ შორის „საბასიც“.

1981 წელს ლეილა ბეროშვილის კინომოთხრობების მიხედვით „ცაზე მიცურავდა მთვარე“, გადაიღეს საყოველთაოდ ცნობილი კომედია – „სიყვარული ყველას უნდა“, რომელიც თბილად მიიღო როგორც მაყურებელმა, ასევე მაშინდელმა კინოკრიტიკამ. ასევე მისი სცენარის მიხედვით, 1994 წელს, გადაიღეს მხატვრული ფილმი – „თბილისი ჩემი სახლია“. მისი პიესები იდგმებოდა სხვადასხვა თეატრებში, წარმატებული აღმოჩნდა მისი რადიოპიესაც – „სარკეში მოჩანს კვირის დღე“. იყო თამაზ ჭილაძის მიერ დაარსებული „ბიჭვინთის დრამატურგთა სემინარიის“ წევრი.

როგორც მწერალი, ავტორია მოთხრობათა კრებულისა: „გზა ჩემი სახლიდან შენამდე“ და „მარიამი“, რომლებიც გამომცემლობებმა – „ნაკადულმა“ და „მერანმა“ გამოსცეს. 1985 წლიდან გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

საკუთარი შემოქმედებისადმი მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდა, არადა, მშვენიერი მოთხრობების ავტორი გახლდათ, რომლებიც უჩვეულო ფერებით, ხასიათებით, გრძნობებით ჰქონდა გაჯერებული. მისი ნოველები ნათარგმნია რამოდენიმე უცხო ენაზეც.

რთული გადასატანი იყო ლეილასთვის აფხაზეთის ომის პერიოდი, რადგან მისი ერთადერთი ვაჟი – ბექა, თანატოლებთან ერთად, სოხუმის დასაცავად იბრძოდა. დიდი განცდით და გულისტკივილით ელოდა შვილის შინ დაბრუნებას. მთელი ღამეები არ ეძინა, მცირე ხმაურზე კარს აღებდა და აყურადებდა, იქნებ ბექა დაბრუნდაო. ყოველ ღამე მას ელოდებოდა. გიჟს ჰგავდა, რომ ერთადერთი ვაჟი ტყვიების ქარ-ცეცხლში ეგულებოდა და აქედან ვერაფერს შველოდა... მაგრამ ღმერთმა არ გაწირა მარტოხელა დედა და ბექა საღსალამათი დაუბრუნა ჭუბერის უღელტეხილით. შემდეგ კი იგი ორი შვილიშვილის – სანდრო და ფეფო ქურხულების სანაქებო ბებიაც გახდა.

ლეილა ბეროშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში უდიდესი ადგილი ეკავა მის მშობლიურ ახალსოფელს. გარდა იმისა, რომ თავისი უბადლო ნოველებით მან თანასოფლელები უკვდავჰყო, ერთხანს იქ ლიცეუმიც კი გახსნა, სადაც მოწვეულ პედაგოგებთან ერთად, თვითონაც ასწავლიდა სოფლის ახალგაზრდობას და დაუზოგავად ზრუნავდა მათ სწავლა-აღზრდის საქმეზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი დიდი პატრიოტიზმიც – სამშობლოს სიყვარული. 1985 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოაქვეყნა კოლაუ ნადირაძის აკრძალული ლექსი – „25 თებერვალი“, რის გამოც გამომცემლობიდან დაითხოვეს სხვა თანამშრომლებთან ერთად ლეილაც, როგორც ამ გამომცემლობის პასუხისმგებელი რედაქტორი.

სიცოცხლის ბოლოს ის მარტყოფში დასახლდა, თბილისთან ახლოს, ორსართულიან სახლში. ისეთ ადგილას უნდოდა ყოფნა, სადაც არავინ იცნობდა. ზამთრის ცივ და გრძელ ღამეებს ის მოგიზგიზე ბუხართან დაბლა, პირველ სართულზე ატარებდა. ბუხრის ოთახს ამშვენებდა სხვადასხვა თუნგები, თიხის ჭურჭელი, ჯამები, ხის დიდი სკივრი. ბუხარზე ედგა ძველებური ლამფა, იატაკზე ეგო ძველებური ნოხები და ფარდაგები. კედელზე ეკიდა ჩუფჩიკას ნახატები და ცნობილი მხატვრების რეპროდუქციები, თაროებზე კი ეწყო უამრავი წიგნი... ერთი ფანჯარა მის პატარა ბოსტანს გადაჰყურებდა, რომლის ზევითაც უკვე ტყე იწყებოდა – ფიჭვისა და ნაძვის კორომები. აი, ასეთი გახლდათ მისი ბოლო საცხოვრისი, მწერლის სამყარო...

საძაგელ სენს ებრძოდა და იმედი ჰქონდა, რომ მალე ისევ კარგად იქნებოდა და კიდევ ერთხელ, თავიდან დაიწყებდა ცხოვრებას... მაგრამ უკურნებელმა სენმა თავისი გაიტანა და ლეილა ბეროშვილი 2016 წლის 10 თებერვალს გარდაიცვალა. დაკრძალულია მარტყოფში, დედათა მონასტრის ეზოში.

მისი ვაჟის მონდომებითა და უშუალო ჩარევით გამოვიდა ლეილა ბეროშვილის ჩანაწერებისა და მინიატურების ახალი კრებული – „გამოზამთრება“, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ მწერლის გარდაცვალებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ გამოსცა. საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა მისი, როგორც ნიჭიერი შემოქმედის ხსოვნის საღამო. გაკეთდა მასზე რადიოგადაცემაც. ყოველივე ეს მისი ღირსეული შვილის – ბექა ქურხულის მონდომებით მოხდა, რაც უდავოდ მოსაწონია! რადიოგადაცემაში ასე იხუმრა ბექამ: „ვერ გამეგო, მე ვიყავი მისი შვილი, თუ ის ჩემი“... ამგვარი სიტყვები კი შემთხვევით არ წარმოითქმება, მას დიდი გულითადობა სჭირდება...

წავიდა ჩვენგან საუცხოო მწერალი და სცენარისტი, ფართხუნაკაბებიანი ლამაზი ციცი – ლეილა ბეროშვილი და დაგვიტოვა თავისი ფიქრებით, მოგონებებით, დამოკიდებულებებით და სევდით გაჯერებული უმშვენიერესი მინიატურები, რომლებიც ასე ხიბლავდა და ხიბლავს ქართველ მკითხველს. ყვარელი კი ყოველთვის იამაყებს თავისი ნიჭიერი შემოქმედით, რომელმაც, როგორც ეს მისი ქმნილებებიდან ჩანს, მართლაც მძიმე და რთული გზა განვლო უფალთან მისასვლელი და, მიაღწია თავისი მებრძოლი სულით, ცათა მის უნათლეს და უნეტარეს სავანეებს, სადაცა მართალნი განისვენებენ. ამინ!

დეკანოზი
ბენიამინ ჩიხორლიშვილი

რა შეუძლია იოდს

ამა თუ იმ დაავადებისგან განკურნება ზოგჯერ ისეთი უბრალო საშუალებით შეიძლება, ვერც კი წარმოიდგენთ. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა იოდის სპირტხსნარი. თურმე იოდი მხოლოდ ჭრილობების დასამუშავებლად როდი ყოფილა სასარგებლო. ალბათ გაგიგონიათ, რომ მტკივან კუნთზე იოდის ბადეს იკეთებენ, მაგრამ ცოტას თუ ეცოდინება იოდდეფიციტის დასადგენი ერთი მარტივი ხერხი: უნდა დააკვირდეთ, რამდენად სწრაფად გაქრება კანიდან იოდის ბადე; თუ სწრაფად გაქრა, მაშასადამე, ორგანიზმს იოდი ჰკლებია.

„მკურნალი.გე“-ს მკითხველი გვწერს, რომ იოდი იმუნიტეტსაც აძლიერებს. „მეგობრებთან ერთად სალაშქროდ გავემგზავრე. გზად თავსხმა წვიმაში მოვყევით. დავსველდი და გვარიანად გავცივდი – ყელში მფხაჭნიდა, მაცემინებდა, ცხვირიდან ჩამომდიოდა, მაგრამ „საველე აფთიაქში“ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებელი აბები, საგულე საშუალებები, კალიუმის პერმანგანატი და იოდი აღმოგვაჩნდა. უეცრად ერთმა მეგობარმა აიღო იოდის ბოთლი, მთხოვა ფეხზე გამეხადა და ქუსლებზე იოდი წამისვა. ამ უჩვეულო „წამლის“ იმედი მაინც და მაინც არ მქონდა, ხელი ჩავიქნიე, დავწექი და დავიძინე, დილით კი გაციების კვალიც აღარსად იყო. მოგვიანებით კიდევ რამდენიმეჯერ გამოვიყენე ეს მეთოდი. ვფიქრობ, გაციების ასეთ მარტივ და საიმედო წამალს ყველა უნდა იცნობდეს“, – აღნიშნავს მკითხველი.

როგორ გავიკეთოთ იოდის ბადე

ბამბის ჩხირი 5-პროცენტიან იოდში უნდა ჩააწოთ და ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები „დაიხატოთ“ მტკივან ადგილზე. უჯრებს შორის დაშორება დაახლოებით 1 სმ უნდა იყოს.



როგორ დავადგინოთ იოდდეფიციტის არსებობა

იმისათვის, რომ გაიგოთ, აკლია თუ არა თქვენს ორგანიზმს იოდი, ბარძაყის შიდა მხარეს იოდის ბადე დაიხატეთ და დაელოდეთ. თუ 3 საათის განავლის შემდეგ ბადე უკვალოდ გაქრა, გაიქეცით ექიმთან ანალიზების ჩასაბარებლად და იოდდეფიციტის სამკურნალოდ. თუ ბადემ 6-8 საათი გაძლო, ორგანიზმს იოდის ნაკლებობის მცირე დეფიციტი აქვს და მისი შევსება ზღვის პროდუქტების მირთმევით შეგიძლიათ. თუ იოდი ნორმაში გაქვთ, იოდის ბადე მეორე დღემდე არ უნდა გაქრეს.

ხველების დროს

იოდის ბადე ხველების დროს კეთდება იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფის ტემპერატურა 38 გრადუსს არ აღემატება. ბადე კეთდება ან ყელზე (ანგინის დროს), ან მკერდზე (ფილტვების ანთების დროს). ადამიანს ეს ადგილები განსაკუთრებით მგრძნობიარე აქვს და პირველი პროცედურისას სხეულზე იოდის მხოლოდ ერთი ხაზი უნდა გაუსვათ. თუ 10-15 წუთის შემდეგ ავადმყოფს არ აღენიშნება წვა ან დისკომფორტი, შეგიძლიათ იოდის ბადე სრულად „დაახატოთ“, თანაც დღეში ორჯერ – დილა-საღამოს. იოდის ბადე ფეხმძიმე ქალების დამხმარეც შეიძლება გახდეს, გაციების დროს, როცა წამლების მიღებაში შეზღუდული ხართ ან იგივე იოდის დეფიციტის აღსადგენად. თუმცა, ფეხმძიმემ იოდის გამოყენებამდე აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია მკურნალ ექიმთან.

დალურჯებების მორჩენაშიც იოდი დაგეხმარებათ

ამისათვის სასურველი არაა, დალურჯებისთანავე გაიკეთოთ იოდის ბადე. დაზიანებული ადგილი ჯერ ყინულით დაიმუშავეთ და იოდით მკურნალობა მეორე დღეს დაიწყეთ.

იოდი არის ქიმიური ელემენტი, რუხი ფერის კრისტალური ნივთიერება, რომელსაც უმთავრესად ღებულობენ ზღვის წყალმცენარეებისგან.

სპირტში გახსნილი ეს ნივთიერება გამოყენებულია მედიცინაში, როგორც სადეზინფექციო საშუალება.

mkurnali.ge

შემწვარი ნიორის მირთმევიდან 24 საათში მთელი ორგანიზმი ჯანსაღდება

ნიორი – უძლიერესი ბუნებრივი ანტიბიოტიკი, რომელიც ანადგურებს სხეულში ბინადარ პარაზიტებსა და მავნე ბაქტერიებს, წმენდს ორგანიზმს დაგროვებული ტოქსინებისგან და წიდებისგან, აქვს სასარგებლო გავლენა თითქმის ყველა ორგანოზე და გვეხმარება მრავალი ქრონიკული დაავადების დამარცხებაში. ნიორი სხეულში მოხვედრიდან უკვე 24 საათის შემდეგ იწყებს აქტიურად მოქმედებას.

როგორ მივიღოთ ნივრისგან მაქსიმალური სარგებელი

საოცრად სასარგებლოა ტაფაზე შემწვარი ან ღუმელში გამომცხვარი ნივრის რეგულარულად მირთმევა. ამ გზით მომზადებული პროდუქტისთვის არ არის დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი და გემო, თუმცა ის მთლიანად ინარჩუნებს საკუთარ სასარგებლო თვისებებს და ასე მას გაცილებით მარტივად ითვისებს ჩვენი ორგანიზმი.

თუ თქვენ ჩვევად იქცევთ ყოველ მეორე ან მესამე დღეს ამ გზით მომზადებული რამდენიმე კბილი ნივრის მიღებას, შეძლებთ მთელი ორგანიზმის გაჯანსაღებას და არა მხოლოდ მოცემული პროდუქტი ეფექტურად ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში, წმენდს არტერიებს და გვიწყობს ხელს წნევის დარეგულირებაში. განსაკუთრებით სასარგებლო შემწვარი ნივრის მიღება სწორედ იმ ადამიანებისთვისაა, რომლებიც კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემებისგან და ჭარბი წონისგან იტანჯებიან. მოცემული პროდუქტი სასარგებლოა დიაბეტიკებისთვისაც.

ღუმელში გამომცხვარი და შემწვარი ნიორი გამოირჩევა მაღალი საკვები ღირებულებით, აძლიერებს იმუნიტეტს და ამარცხებს ქრონიკულ დაღლილობას. მეტიც, ის გვიწყობს ხელს ზედმეტი კილოგრამების სწრაფად და მარტივად მოშორებაში, რადგან აჩქარებს ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. საკმარისია 2 ან 3 დღეში ერთხელ 6 კბილი შემწვარი ნივრის მირთმევა, რათა ორგანიზმში საოცარი ცვლილებები წარიმართოს.

რა ხდება, როდესაც შემწვარი ნიორი კუჭში ხვდება?

1-ლი საათი – ორგანიზმი მას აღიქვამს, როგორც ჩვეულებრივ, არაფრით განსაკუთრებულ საკვებ პროდუქტს.

2-4 საათი – ნიორი იწყებს ბრძოლას თავისუფალი რადიკალებისა და სიმსივნური უჯრედების წინააღმდეგ.

4-6 საათი – ნიორი ანადგურებს ცხიმოვან ფენებს და გამოდევნის ორგანიზმიდან ზედმეტ სითხეს.

6-7 საათი – ანადგურებს მავნე ბაქტერიებს.

8-10 საათი – ის აფერხებს უჯრედების დაჟანგვით პროცესებს ორგანიზმში.

10-24 საათი – ნიორი ღრმად წმენდს მთელ ორგანიზმს, გამოდევნის დიდი რაოდენობით ტოქსინებსა და წიდებს.

გასაოცარია, თუ რამხელა ძალას ფლობს ერთი უბრალო პროდუქტი, არა? შემწვარი ნიორი მირთვით პირდაპირ ან შეაზავეთ საყვარელი კერძები. თუ თქვენ ამ პროდუქტის მიღებას ჩვევად იქცევთ, შეძლებთ ჯანმრთელობის, ახალგაზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას მრავალი წლით.

ამ სამკურნალო საშუალების მიღების პარალელურად არ დაგავიწყდეთ საკმარისი რაოდენობით წყლის მიღება. უკვე 2 კვირაში თქვენ თავს საოცრად მხნედ და ენერგიულად იგრძნობთ. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს!

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

ცისანა შაოშვილი

სიკეთით უხვად დაჯილდოებული, უსაზღვრო ენერგიით, სათნოებით, კეთილშობილებით გამორჩეული იყო ჩვენი ცისანა.

იმდენ სიკეთეს აკეთებდა, იმდენ ადამიანს ეხმარებოდა, თითქოს მოსწრება უნდოდა ამ ყველაფრის. გვიკვირდა როგორ შეეძლო ეს ასე კარგად ეკეთებინა.

იყო გამორჩეულად მზრუნველი. ყველა ახლობლად მიაჩნდა, თავს ივალდებულებდა ყველასთან და ყველაფერში. როგორ ახერხებდა ამდენ ადამიანთან ასე თბილ და კარგ ურთიერთობას.

ტაძარში გამორჩეულად საყვარელი ადგილი გვქონდა, მარცხენა სვეტთან. ცისანა, თვალებით გეძებთ, იცი? შენ ძალიან დიდი სიყვარული დატოვე ჩვენში, იცხოვრე ჭეშმარიტად ქრისტიანულად. ვლოცულობთ შენი სულისთვის. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველში.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის
მრევლის სახელით,
რეგენტი მაგული საპაკიშვილი

საოცრად ავსებდა

საოცრად ავსებდა , ალამაზებდა, ათბობდა ყვარელს... შემხვედრს, სტუმარს, მომსვლელს, წამსვლელს... ყველას, ყველას... მისგან მიღებული, ღიმილში ჩამდნარი სითბო, ჩუმ საგზლად გაგყვებოდა, მოგშივდებოდა დაგაპურებდა, შეგცივდებოდა და გაგათბობდა. და შენც, ბავშვობის ქვეცნობიერში, სულში ჩატოვილი მისეული ნაღვერდალი, ისევ გაგიღვივდებოდა შემხვედრთან , მომსვლელთან, წამსვლელთან... სულყოფილება გიწინამძღვრებთ.

მარინა პატარაძლიშვილი

გამოირჩეოდა თანადგომით

დღეს, უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ, ერთ-ერთი უკეთილშობილესი ქალბატონი, რომელიც თავისი ალალი ღიმილით მუდამ გვათბობდა, ყოველთვის უანგაროდ გვედგა ჭირსა და ლხინში, გამოირჩეოდა უიშვიათესი თანადგომის უნარით.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ იყო ჩვენი მრავალრიცხოვანი სანათესაოს გამაერთიანებელი, არასოდეს მოგვახვევდა თავზე თავის ეკონომიურ, ჯანმრთელობისა თუ სხვა სახის პრობლემებს, იყო არაჩვეულებრივი მეუღლე, დედა, ბებია და ზოგადად უღირსეულესი ქართველი ქალი.

დიდი მადლობა ჩვენო განუმერებელო ცისანა, იმ დიდი სითბოსა და სიყვარულისათვის, რომელსაც შენგან მუდამ ვგრძნობდით, იმ წუთისოფელში საგზლად თან მიგყვება ძალიან დიდი სიკეთე,რომელიც მუდამ გაგინათებს სასუფევლისაკენ მიმავალ გზას.

მშვიდობით, ღმერთს ებარებოდე ამინ!

ლალი თვალიაშვილი

უშურველად გასცემდი სიკეთეს

ჩემო ცისანა, არ მყოფნის სიტყვები, გამოვხატო ის დიდი ტკივილი, რაც გამოიწვია ჩემში, შენი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ. ამ ტრაგედიას, ვუსამძიმრებ არამარტო შენს ოჯახს, არამედ ენისელსა და ყვარელს. შენს ბავშვობასა და შენს ჭეშმარიტ ქალობას. საოცარი იყო შენი ცხოვრება. ხან ოთარაანთ ქვრივს ჰგავდი, ხან თავსაფრიან დედაკაცს, ზოგჯერ კი, დედა ტერეზასა და მამიდა ასმათს მაგონებდი. თავად ჭირთა მთმენი სხვათა მანუგეშებელი და საიმედო საყრდენი იყავი. უშურველად გასცემდი სიკეთეს. უკუგებაზე არასოდეს გიფიქრია. შენ უფლისაგან მოვლენილი იყავი იმიტომ, რომ სხვებისთვის გეჩვენებინა რა არის ადამიანის მოვალეობა. შეგეძლო დავრდომილის აღდგენა, უნუგეშოსთვის ნუგეშის მიცემა, მტირალისთვის ცრემლის მოწმენდა. სწორედ ამიტომაც, უფრო მეტად განვიცდით შენს გარდაცვალებას. დაე, მსუბუქი იყოს ყვარლის მადლიანი მინა შენთვის. ჩვენ კი სხვა რაღა დაგვრჩენია გარდა იმისა რომ, ზოგჯერ მაინც დაგიწანდილოთ მცირე ხორბალი მართალი სულის გადასარჩენად. მჯერა „იად ან ვარდად აყვავებული ერთხელაც იქნება გაახელ თვალებს“.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

ილიკო ჯამასპიშვილი

(კიმოთეს ბიჭის მონატრება)

არ არსებობს სიყვარულზე დიდი გრძნობა, მონატრებაზე დიდი ტკივილი და სინანულზე დიდი ტანჯვა. ცხრა თებერვალს გავიდა ათი ტკივილიანი წელი, რაც ამ ქვეყნიდან წახვედი და ზეციურ სამყოფელში დაიმკვიდრე ბინა, რის გამოც დაგვიტოვე დიდი სევდა, ტკივილი, უზომო მონატრება. მართალია ჩვენს გვერდით ფიზიკურად აღარ ხარ, მაგრამ სულიერად ჩვენს გვერდით გიგულებთ. გული გვტკივა უშენობით, ვეღარ ვისმენთ შენს საყვარელ ხმას ათასგვარი სიმღერებით ქართულ – ხალხურ ჰანგთა მეუფევ, კიმოთეს ბიჭო, ილიკო! ისეთი დიდაქტიკოსი იყავ, რომ ას წლამდე მაინც უნდა გეცოცხლა და გემოძღვრა შენიანები, ყველა ღირსეული ადამიანი.

შენი მოქალაქეობრივი ვალი ღირსეულად შეასრულე. იცხოვრე კაცური კაცობით, იყავ ჭკვიანი, უზომოდ პატიოსანი, შრომისმოყვარე, გონიერი, დაფიქრებული. აღზარდე ორი გოგო და ერთი ვაჟი ღირსეულ ადამიანებად. სასახელო მემკვიდრეები დატოვე შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების, რძლის და სიძეების სახით.

დიდი ამაგი მიგიძღვის სანათესაოს ყურადღებისა და მიხედვისათვის ჭირსა თუ ლხინში.

მშვიდად განისვენე მარადისობის სასუფეველში და მაქედან ლოცოს შენმა სულმა შენი მოდგმა, სანათესაო, ყველა ის, ვისაც შენგან ეკუთვნის.

მარადიულ ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა და ჩვენგან დანთებულმა სანთლებმა.

შენი დისშვილები
ესმა და ილო რაჯებაშვილები

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ვანიკო წყალობაშვილი

28 იანვარს ექვსი წელი შესრულდა რაც უდიდესი ტკივილი მოგვაყენე. ახლა 11 წლის უნდა ყოფილიყავი. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. უსაზღვროდ გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო საყვარელო ვანიკო.

ნათელი ედგას შენს სამუდამო სასუფეველს.

გია პაპა

მეუღლე ციალა, შვილი ერა ჯანგულაშვილები, დები: ნელი ქორიძე, ნათელა ღელაღუტაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ჟინერი (სოსო) ჯანგულაშვილი.

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოს საჯარო სკოლის პედკოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი მზია (ზინა) გაფრინდაშვილი

სსიპ ტიციან ტაბიძის სახელობის ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სანავარდოს საჯარო სკოლის პედკოლექტივი მწუხარებაში თანაუგრძნობს ცისანა თედეიშვილს დედის გულო თედეიშვილის გარდაცვალების გამო.

მეუღლე ომარ მამულაშვილი, შვილები: ზურაბ, ბელა, ზაზა; რძალი მარიამ ლოლიაშვილი, სიძე სიმონ კახაშვილი; შვილიშვილები: კახაბერ, ქეთევან კახაშვილები, ნანიკო, ნიკოლოზ მამულაშვილები; შვილთაშვილი ლიკა ღვინიაშვილი; დები ჟუჟუნა, დალი, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნანი ისაკის ასული პატარქლიშვილი.

დაკრძალვა 13.იანვარს, ყვარელში.

კუჭატნის საჯარო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგს ანა ხარებაძეს რძლის მარინე აბრამიშვილის გარდაცვალების გამო.

ყვარლის ყოფილი სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სკოლა-ინტერნატის პედაგოგი მარინე აბრამიშვილი და მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.

დედის მონატრება

ნანი პატარქლიშვილის ხსოვნას

„რა არის ჩვენი ცხოვრება
ჩიტივით გაგვიფრინდება“...

ბრძენი ქართველი კაცის ნათქვამის ამ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა შენმა უეცარმა გარდაცვალებამ.

ჩემო დიდო ტკივილო და მონატრებავ!... 40 დღის წინ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას გავდა შენი სიკვდილი დედა-ჩემო!...

როგორი მშვიდი, წყნარი და აუღელვებელიც იყავი, ისე წყნარად მოგეპარა ვერაგი სიკვდილი და წაგვართვა შენი თავი, ჩემო დიდო იმედო და ნავსაყუდელო!...

...იყო მშვიდი, წყნარი, ობლობაში გაზრდილი, თავმდაბალი, ყველას მოყვარული, ყველას დამრიგებელი, ყველანაირ გაჭირვებაში მყოფის გულთან მიმტანი, რჩევის მიმცემი, – ასეთი იყო ჩემი დედა!...

ობლობასა და გაჭირვებაში გაზრდილი, ჩემი მშვიდი ნავსაყუდელი, ვისთანაც შემეძლო მესაუბრა ჩემს ყველა პრობლემაზე, მშვიდად მსმენელ ადამიანთან, რომელიც არასდროს გამკიცხავდა, დამარიგებდა, დამაწყნარებდა... რომელსაც ყველას კარგი უხაროდა, ყველას ტკივილი ტკიოდა...

მოსიყვარულე მეუღლე...

ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ეწეოდნენ ჭაპანს და გაჰქონდათ ეს ცოდვით სავსე ქვეყანა.

ვერანაირმა წინააღმდეგობებმა ვერ შეარყია მათი უდიდესი სიყვარულით შექმნილი ოჯახი, რომ არა ეს მოულოდნელად „მოვარდნილი სიკვდილი“...

დედა, შენს მეუღლეს ფრთები დაუმტვრიე! შენს მოსიყვარულე შვილიშვილებს აღარ ეჩქარებათ სახლში მოსვლა, რადგან აღარ ეგულებათ მუდამ კარებისკენ მომზირალი, მზრუნველი, მოამაგე და სამზარეულოში მოფუსფუსე ბებია.

გეძებს შენი ცალუღელად დარჩენილი ცრემლიანი მეუღლე, გეძებს ყველგან, სადაც იყავი ხოლმე საათობით და ეფერებოდი მიწას.

შენ იმ მიწამ ჩაგიხუტა, რომელთაგანაც პოულობდი სულიერ სიმშვიდეს და ეფერებოდი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე...

ჩაგიხუტა ისე, როგორც მე ჩამიხუტებდი ხოლმე ყოველ შეხვედრაზე.

10 იანვრიდან ტელეფონის ზარის ხმაზე აღარ მივიჩქარი. ვიცი, რომ შენ ვეღარ დამირეკავ, საათობით ვეღარ დამელაპარაკები, ვეღარ გამომკითხავ რას ვაკეთებ, რას ვჭამ, რითი ვსუნთქავ...

... ნუთუ ღმეთს სხვას არაფერს თხოვდი, რომ მაინცდამაინც ეს ნატვრა შეგისრულდა. მოულოდნელად გინდოდა სიკვდილი, რომ შენი ავადმყოფობით არავინ შეგეწუხებინა...

მე კი ის მინდოდა, რომ ცოტა ხანს გეავადმყოფა, გეცოცხლა, დაგენახა როგორ გვიყვარდი, როგორ გიფასებდით ამაგს, შუბლზე ხელს გადაგისვამდი და გეტყოდი: „ნუ გეშინია დედა!“

იქნებ ამ მაგიური სიტყვებით ულმობელ სიკვდილს გული მოლბობოდა და ცოტა ხნით კიდევ გაგვეხანგრძლივებინა შენთან ყოფნის ბედნიერი დღეები... წუთები...

იძინე წყნარად, მშვიდად ჩემო მონატრებულო დედა! მსუბუქი იყოს შენთვის ის მიწა, რომელსაც ეფერებოდი მთელი წელი ადრეული გაზაფხულიდან – გვიან შემოდგომამდე...

მხოლოდ ამას გთხოვ: ხანდახან მაინც დამესიზმრე და მირჩიე: რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო უშენოდ, შენი დარიგებების გარეშე! როგორ გავაგრძელო ცხოვრება?!..

შვილი ბელა მამულაშვილი

საქართველოში ევრო სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი აშენდება

საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა იწყება.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასა და ფრანგულ-სლოვენიურ კონსორციუმ „სადე-რიკოს“ (შადე ღიკო) შორის დღეს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროსტანდარტების შესაბამისი პირველი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობის დაწყების შესახებ.

ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, ევროკავშირის დელეგაციის ელჩის მოადგილე საქართველოში კარლო ნატალე, გერმანიის საელჩოს სამხრეთ კავკასიის განვითარების თანამშრომლობის ხელმძღვანელი დანიელ ჰაასი, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დირექტორი გიორგი შუხოშვილი და „სადე ჯორჯიას“ დირექტორი ენტონი მოჟე.

„ეს არის ინფრასტრუქტურული მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი. 2023 წლისთვის, ქვეყნის მასშტაბით, არსებულ, ძველ მუნიციპალურ ნაგავსაყრელებს, 8 ახალი რეგიონული ნაგავსაყრელი ჩაანაცვლებს. ამ პროექტების განხორციელებით გაუმჯობესდება რეგიონების საცხოვრებელი პირობები. ნარჩენების მართვის კოდექსის და ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ნარჩენების მართვის სისტემა იქნება ეკოლოგიურად სუფთა და უმაღლესი სტანდარტების შესაბამისი“ – განაცხადა მაია ცქიტიშილმა.

ლევან დავითაშვილი – „ეს იქნება პირველი თანამედროვე სანიტარული ნორმების შესაბამისი ნაგავსაყრელი, რომელმაც გაიარა გარემოზე ზემოქმედების შეფასება გარემოზე ზემოქმედების კოდექსის შესაბამისად და ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად“.

რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა ქუთაისთან ახლოს მიმდინარე წლის მარტში დაიწყება და დაახლოებით ერთ წელიწადში დასრულდება.

მშენებლობაზე, სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება. ობიექტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის 700 000-მდე მოქალაქეს მოემსახურება.

agrokavkaz.ge

სპორტულ ასპარეზობებზე ხელბურთი

გოგონები და ვაჟები ლიდერობენ

20 იანვარს თბილისში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეთორმეტე ტური, სადაც ყვარლის სასპორტო სკოლის ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა გუნდმა (2002-2003 წლებში დაბადებული ხელბურთელები) დიდი ანგარიშით 31-15 დაამარცხეს თელავის ნაკრები გუნდი და დღეისათვის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებიან. უფროსი ასაკის ქალიშვილებმა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი უძლიერესად ჩაატარეს. მათ ყველა შეხვედრა მოიგეს და დამაჯერებლად ლიდერობენ ქვეყნის ჩემპიონტს. სატურნირო ცხრილის სათავეში არიან აგრეთვე ყვარლის სასპორტო სკოლის 2004-2005 წლებში დაბადებული ხელბურთელი გოგონები (მწვრთნელები ზურაბ ხარებაშვილი, გოჩა ღონიაშვილი).

ძიუდო
გიგი ხარებაშვილი ტურნირის ჩემპიონია

თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2004-2005 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის, სადაც შესანიშნავად გამოვიდა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი გიგი ხარებაშვილი. გიგიმ 55 კოლოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა და ღირსეულად მოიპოვა ტურნირის ჩემპიონის ტიტული (მწვრთნელი ვანო გიგილაშვილი).

ჭიდაობა
რობერტ დინგაშვილი ეროვნულ ნაკრებშია

დეკემბრის ბოლოს, ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში 23 წლის მოჭიდავეთა შორის, სადაც შესანიშნავად იასპარეზა რობერტ დინგაშვილმა. მან 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულთან ერთად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. ახლა რობერტ დინგაშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად საწვრთნელ შეკრებაზეა და ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც მარტში ჩატარდება რუმინეთში (მწვრთნელები ვანო ჭანტურიძე, გივი მეტრეველი, მალხაზ როზომაშვილი).

მასალები მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

კრივი

ახლახან მოვიდა ცნობა, რომ კრივში დამთავრებულ საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის, 56 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მესამე ადგილი დაიკავა სულიკო შემბერიძემ (მწვრთნელი კახა ზაუტაშვილი).

ანსამბლ „ხეუროს“ კონცერტი

რამდენიმე წელია ტრადიციად დამკვიდრდა, წინასაახალწლო დღეებში, ყვარლის ფოლკლორის სკოლის და მასთან არსებული ანსამბლის – „ხეუროს“ სოლო კონცერტის ჩატარება.

ასე იყო 2018 წლის 26 დეკემბერსაც. ყვარლის კულტურის სახლში, კვლავ გაიმართა ანსამბლ „ხეუროს“ კონცერტი, რომელსაც ფოლკლორული მუსიკის თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ. მათ წინაშე, როგორც ყოველთვის, შესანიშნავი რეპერტუარით წარდგა „ხეურო“ და კიდევ ერთხელ მისცა შესაძლებლობა დამსწრე საზოგადოებას მოესმინათ გამორჩეული, მრავალხმიანი, ორიგინალური ქართული ხალხური სიმღერები, რომელსაც დიდი რუდუნებით ასწავლის ანსამბლის ხელმძღვანელი, ლოტბარი ბატონი ირაკლი მათიკაშვილი.

სიმღერებთან ერთად, „ხეურომ“ მაყურებლის წინაშე წარმოადგინა საინტერესო მუსიკალურ-ლიტერატული კომპოზიცია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“.

კონცერტში ასევე მონაწილეობას იღებდნენ ანსამბლ „ ხეუროს“ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც დღესაც წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას ამ სფეროში. ღონისძიებას უძღვებოდა, ყვარლის კულტურის სახლის ხელმძღვანელი, ქალბატონი იზოლდა იოსებიანი. აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში, როგორც ირაკლი მათიკაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა: ანსამბლის რეპერტუარში შევა გიტარაზე შესრულებული ძველი ქართული სიმღერები, რითაც უფრო მრავალფეროვანი გახდება მათი შემოქმედება.

კვლავაც მრავალი წარმატებები მათ!

ია გიგიაშვილი



ოქროს ზღაპარი – შეხვედრა ნატა ვარადასთან

„მგლოვიარე ბინდებით იბურება ყვარელი. ვაზით და სიმინდებით მიდის გზა საყვარელი“ – გალაკტიონის ამ სტრიქონებმა 2018 წლის 20 ოქტომბერს შეახსენა თავი როსტომ ჩხეიძეს, მაშინ, როცა ყვარლისკენ მიმავალ ამ საყვარელ გზას ვადექით, რათა ნატა ვარადას პოეზიის საღამოში მიგვეღო მონაწილეობა. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ ნატას მეგობრები (იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები) ქეთი ბარჯაძე და ქეთი ფალავანდიშვილი თავისი პატარა მარკოთი. კომფორტულ და უსაფრთხო მგზავრობას, რა თქმა უნდა, თემურ მურაჩაშვილი უზრუნველყოფდა. ნატა ვარადა (ვარადაშვილი) ახალგაზრდა და იმთავითვე ყველასაგან გამორჩეული შემოქმედია. მას თავისი ჩამოყალიბებული სტილი აქვს წერისა, მისი ლექსი სხვისაში არავის აერევა. ნატას პოეზიის პირველი ნიმუშები აწ ძალიან მონატრებულ ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ დაიბეჭდა წლების წინათ. მას შემდეგ ავტორმა ოთხი პოეტური კრებული გამოსცა. უნდა ითქვას, რომ მკითხველში – გემოვნებიან, პოეზიის მცოდნე და მოყვარულ ადამიანებში – პირველმა პუბლიკაციამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. ზოგი მკითხველი ამ ლექსებმა თავიდან არ მიუშვეს თავისთან, არ გაიშინაურეს, ამიტომ ნაწილისთვის გაუგებარი და შეუგრძნობელი აღმოჩნდა ნატას ლექსების ხიბლი. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი წაკითხვისას. აი, მერე კი, შემდეგი პუბლიკაციებისა თუ პოეტური კრებულების გაცნობისას ყველა ნამდვილი მკითხველისთვის გადაიხსნა მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო სამყარო, რომელსაც ნატა ვარადას პოეტური აზროვნება ქმნის. და ბუნებრივია, რომ იგი ნამდვილ, ღირსეულ შემოქმედთა დარად „საგურამოს“ პრემიის ლაურეატია, ყველასთვის დიდად საპატიო ლიტერატურული ჯილდოსი. ყვარლის გადასახვევამდე, როცა ყურყურა და ბარჯისხევი გავიარეთ, ქეთი ბარჯაძემ იხუმრა, ჩემს ხევში მოვხვდიო. მერე ყვარლის მთებს შევავლეთ თვალი და მალე ილიას სახლ-მუზეუმშიც მივედით. წელიწადის ყოველ დროს თავისებურად ლამაზი ეზო ახლა შემოდგომის ფერადებით შემოგვეგება. ილიას მადლი და სინათლე მთელ საქართველოს სწვდება, თუმცა ყვარელსა და მის შემოგარენში, ალბათ, უფრო მჭვირვალეს. შემოდგომის მზე და მუზეუმის დირექტორი თამარ ზურიაშვილი ერთდროულად გვიღიმიან და გვმასპინძლობენ. ქალბატონი თამარი მუდამაც მზად არის, მუზეუმის ეზო თუ დარბაზი ასეთ შეხვედრებს დაუთმოს. გარდა იმისა, რომ თვალისჩინივით უვლის აქ ყველაფერს, ხელს უწყობს აქაურობის გაცოცხლებას, დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას. მის მიერ ჩვენთვის ნაჩუქარი ჟურნალი, „თქვენი ვარ შვილი“, რომელიც მუზეუმის გამოცემულია ორ ენაზე – ქართულად და ინგლისურად და მიზნად ისახავს სტუმრებისთვის ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების და აგრეთვე, ყვარლის რაიონის თანამედროვეობისა და წარსულის ღირშესანიშნაობების გაცნობას, საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ უვლიან, ზრუნავენ და აფასებენ თავიანთ და მთელი ქართველობის სიმდიდრესა და განძს აქაურები. პოეტთან შესახვედრად არც იმდენი ხალხი შეკრებილიყო, რომ, ვთქვათ, ოკეანისა ან ზღვისთვის შეგვედარებინა, მაგრამ არც ისე ცოტა, რომ უმნიშვნელო წვეთებად მოგვჩვენებოდა. შეხვედრა იყო უშუალო, მყუდრო, კამერული, ისეთი, როგორიც შეეფერება თავმდაბალ, ადამიანობითაც გამორჩეულ შემოქმედს. ილიასეული სახლის აივნიდან პირველად ლელა კაპანაძემ – სოფელ გავაზის საჯარო სკოლის (ნატას მშობლიური სკოლის) დირექტორმა მოგვმართა. გულწრფელი სიხარული გამოხატა და მადლობა თქვა ამ სასიამოვნო ღონისძიების ჩატარების გამო. სხვათა შორის, გაიხსენა, როგორ დაკარგულან ერთხელ, არაპოეტმა მეგობარმა, ქეთი ბარჯაძემ ნატას განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებზე გაამახვილა ყურადღება. სასიამოვნოა, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ ავტორისთვის უცნობი ადამიანებიც – ყვარელში მცხოვრები პოეტები: იზოლდა იოსებიანი, მანანა შატავიძე, ნუნუ ლაღიძე, ნელი თედეიშვილი და სხვები. ისინი დაინტერესდნენ ახალგაზრდა ქალის ლექსებით, თავიანთი აზრი გამოთქვეს და ამ პოეზიის უფრო სრულყოფილად გაცნობა ისურვეს. შიგადაშიგ ნატა თავის ლექსებს გვიკითხავდა. როცა პოეტის მამა, სათნო და საყვარელი ბატონი ლევანი ეზოდან გავიდა, ბატონმა როსტომმა დრო იხელთა და ნატას ის ლექსი ათქმევინა, რომელშიც კარალიოკის ხესთან თოკით დაწინდვაზე საუბრობს ავტორი. მამის იქ არყოფნაში უნდა მოესწრო სხვა, მამაზე დაწერილი ლექსის წაკითხვაც, მაგრამ ცრემლები მოერია და ვერ დაამთავრა. თითქოს ასეც უნდა მომხდარიყო, რომ იზოლდა იოსებიანის დეკლამაციის უნარიც შეგვეგრძნო.

ბავშვობაში, სახლიდან – სოფელ გავაზიდან ყვარელში გამოპარული ნატა, მისი და და ბიძაშვილი... თქვენ ყოფილხართ „დაკარგული თაობაო“, – ეზოდან მოხდენილი ხუმრობით შეეხმიანა ინა არჩუაშვილი, მშვენიერი და უთუოდ დასაფასებელი მწერალი. რა თქმა უნდა, შესაფერისი სიტყვაც თქვა და ნატას პოეზია საგულისხმოდ შეაფასა. შეხვედრას როსტომ ჩხეიძე უძღვებოდა, ნატას შემოქმედების აქტიური პოპულარიზატორი. მისი თქმით, ნატა ვარადა ერთი იმათგანია, ვინც დღეს წარმართავს სალიტერატურო პროცესს. თვითგანდიდების გარემოში მისი მიდრეკილება ჩრდილში დგომისა და „უჩინარობისაკენ“ ცუდად არის გამოყენებული, თუმც ჭეშმარიტი მკითხველის თვალში სწორედ ამ რანგის პოეტები არიან გამომხატველნი დროის ავ-კარგისა. ჩემს გამოსვლაში ყურადღება მივაქციე პოეტის უნარს სხვათა შემოქმედების გაგებისა და დაფასებისა – ნატა ვარადას, როგორც საგულისხმო კრიტიკოსსა და ესეისტს. სიტყვები თქვეს ნატას მეგობარმა პოეტებმა: ირმა ბერიძემ, ეკა კვიციანმა, ქეთა დიდიშვილმა. მათ ნატას შემოქმედებითი ძალა ამოხეთქილ ვულკანს შეადარეს. სწორედ მან ითავა ნატას რამდენიმე ლექსის წაკითხვა და მსმენელიც ერთობ მოგვხიბლა. შემთხვევითი არ იყო, რომ ვიდრე ნუნუ ლაღიძე ყველაფერს შეაჯამებდა თავის ბოლო სიტყვაში, ჯერ კიდევ ბატონი როსტომის საუბრის დროს, ექსკურსანტების ერთი ჯგუფიდან ხმამაღლა დაიძახეს, ოთარ ჩხეიძის უნივერსიტეტი მოდისო. თურმე გორის უნივერსიტეტის ლექტორთა და სტუდენტთა ჯგუფმა ასე გამოხატა სიხარული ამ მოულოდნელი შეხვედრის გამო. მათ მოგვიანებით სურათიც გადაიღეს ბატონ როსტომთან ერთად. ილიას მუზეუმიდან გამოსულებმა „ბებერი გრემი“ მოვინახულეთ. გზად ფრანკფურტის წიგნის ფესტივალსა და ყვარელზე ვსაუბრობდით, შემდეგ ნატას ტკბილმა ოჯახმა გვიმასპინძლა, სადაც ოცი ოქტომბერი „ელვარე და ლომფერ“ ცხრა ოქტომბერს გაუთანაბრეს პოეტებმა. იმ დღეს ყველაფერი მართლაც „ოქროს ზღაპარს“ ჰგავდა. საღამოს, თბილისისკენ მომავალთ კვლავ გალაკტიონი აგვედევნა: ეს მშობლიური ქარია, ეს სოფელია მძინარე. არ ვიცი, რად მიხარია, ვაზი, ყანები, მდინარე...

ნინო ვახანია
ლიტერატურადმცოდნე

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86